

ძიება პრალი თეატრის

კოტე მარჯანიშვილმა ახალგაზრდა სანდრო ახმეტელთან ერთად დაწყო ახალი ქართული, ღრმად ეროვნული თეატრის შექმნისთვის ბრძოლა.

როგორც ვთქვით, 1922 წელს მას დახვდა უკვე მოშლილი თეატრი.

დამოუკიდებელ საქართველოში დიდი ისტორიული აქტის - სახელმწიფო დრამატული თეატრის შექმნის, დასის ორგანიზაციისა და გარკვეული შემოქმედებითი წარმატებების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ერთ წელიწადში სრულიად დაიშალა თეატრი. თითქმის წყალში გადაიყარა ყველაფერი. მისი განახლების, ძირულად გარდაქმნის ანუ დიდი „თეატრალური რევოლუცის“ ისტორიული მისია ხვდა წილად კოტე მარჯანიშვილს. მხოლოდ მის გენიას შეეძლო დაპყრობილ ქვეყნაში, ოკუპაციის ატმოსფეროში, ყველა შემოქმედებითი ძალის გაერთიანება, „ჭირსა შეგნ გამაგრება“, ქართული სულის გაღვიძება და ახალი სათეატრო ეპოქის დაწყება. „ეს ქორონიკონი ეროვნული ასოებით უნდა აღიბეჭდოს ქართული თეატრის მატიანეში. ვინ ჩააბა ქართველი მსახიობი ამ ღვთიურ ექსტაზში? წერდნენ და პასუხობდნენ - კოტე მარჯანიშვილმა.

ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია, მათი თვითმყოფადი ბუნების გამოვლენისა და დამკვიდრების პროცესი ამასთანავე თავისებური ბრძოლის ფორმაც იყო, რათა არ ჩამკვდარიყო ეროვნული სული.

ტიტანური იყო ეს ბრძოლა და ამითაც აიხსნება 20-იანი წლების ქართული თეატრის საერთაშორისო აღიარება. ვერავითარება ძალაშ ვერ ჩაკლა ქართული სული. ვერ მოახერხა მისი ასიმილირება.

ჰეშმარიტად გმირული იყო ეს ბრძოლა!

ამ ბრძოლას მეთაურობდა კოტე მარჯანიშვილი, მისი მადლიანი ხელით ნაკურთხი სანდრო ახმეტელი და მსახიობთა დიდი თაობა.

„განგებაშ ხელში ჩაგვიგდო ის ჯადოქარი ხელოვნი სცენისა, რომელიც ოდესადაც გულნატკენი გასცლოდა თავის ქვეყანას, სამშობლო სცენას და უცხოეთში დიდ მანათობელ პლანეტად ქცეულიყო. იგი ჩამოვარდა ჩვენს შორის, როგორც ცდომილი ვარსკვლავი, მაგრამ ბუნებამ თავისი ქნა და ვინც ჩვენთან იყო გადაჯაჭვული

- უხილავის, მაგრამ ნათესაურის სისხლით, ჩვენ დაგვიბრუნდა. აი, აქ იწყება ის პერიოდი, რომელსაც უჟღველია, ქართული სცენის აღორძინებისა და კოტე მარჯანიშვილის პერიოდი ეწოდება“ (ა. ფალაგა).

კოტე მარჯანიშვილი თეატრის სათავეში ჩადგომისთანავე გაემიჯნა ცელაზე უფრო რუსული სამხატვრო თეატრის პრინციპებს თუმცა კარგად იცოდა მისი დიდი შემოქმედების ფასი და ჯეროვან პატივსაც მიაგებდა. მან სანდრო ახმეტელს („სალომეს“ დადგმისას) უთხრა: „თქვენთან ერთად გაუწყვიტოთ კავშირი მასთან (სამხატვრო თეატრთან) და ვეძებოთ თეატრი ვაჟაპური“.

შემტევი, ძლიერი, სიცოცხლის და სულიერი მზეობის თეატრი ქართული ეროვნული თეატრის იდეაა. ასეთია მარჯანიშვილის თეატრის მრწამსიც. როგორც კი მშობლიურ საწყისებს დაუბრუნდა, ცელაზე თავის აღილზე დადგა. „საკმაო იყო მის გულს მოხვედრიდა მშობლიური სიო, რომ მას ეგრძნო უკულმართი ბედი ქართული თეატრისა (ს. ახმეტელი).

კოტე მარჯანიშვილი მაღლობას უქნებოდა რუსეთს: „მან არც ერთი წუთით არ შენელა ჩემი კახური სისხლი, დედაჩემის სისხლი. მისმა საუცხოო სუსტიანმა დღეებმა არ ჩაკლეს ჩემში მოგონებანი ჩემი მოხბის მხურვალე ქვებზე. მისმა მომზიდვლელმა თეორმა დამებმა ვერ გათქვიფს სამხრეთული ხავერდისებული, წკრიალა ვარსკვლავებით უხვად მოფენილი მუქი ცის სიღრმე, მისმა მშვიდმა გულკეთილობამ ერთი წუთითაც არ შეანელა მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, ფანტაზიის თავაწყვეტილი აღმაფრენა - ეს მომცა მე ჩემმა პატარა, ჩემმა საყვარელმა საქართველომ“.

ეს იყო გულწრფელი მაღლობა იმისათვისაც, რაც მან მიიღო რუსული კულტურისაგან. აღსარების ეს წუთები უნებლივებ გვაგონებს ბ. ბელინსკის სიტყვებს: „კავკასიას თითქოს წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუზების შთამაგონებელი და გამომწვრთნელი, მათი პოეტური სამშობლო“. არც ერთ რუსს არ დასცდენია სამდურავი იმის გამო, რომ რუსული პოეზის შთაგონების წყარო კავკასია იყო. იმის გამო, რომ მათი პოეტური სამშობლო რუსეთის თვალუწვდენელი ველები კი არა, საქართველო იყო...

კ. მარჯანიშვილს კი რუსეთის თეატრებში „თავისი ქართული ტემპერამენტით შექმნდა ცხოველმყოფელობა, ბრწყინვალე ფერები“ (ა. ლუნაჩარსკი).

როცა სამხატვრო თეატრში დგამდა სპექტაკლს „ცხოველების ბრჭყალებში“, ასე აღწერდა თავის განცდებს: „ცხოველების ბრჭყალებში“ პირველი ჩემი ქართული წარმოდგენა იყო ორმად დაფარული ეროვნული სული იქ, რუსეთის ცენტრში, ცელაზე რუსულ თეატრში გველინებოდა, როგორც სამხრეთელის თავდასხმა ჩრდილოეთზე. მან ერთბაშად დაარღვია თეატრის წმინდა რუსული წყობის სისტემა“. ორ, ნემირვიჩ-დანჩენკოს რომ შესძლებოდა წაეკითხა რაც მის სულში ხდებოდა, იგი არ მისცემდა პიესის დადგმის უფლებას...“

შემდგომში კ. სტანისლავესი თავის დღიურში ჩაწერს, რომ სარელიად არ ეთანხმება მარჯანიშვილის კონცეფციას. ეს გასავაბიცაა. კოტე მარჯანიშვილის მხატვრული ხედები და ეროვნული სტიქია ქართული იყო, მხოლოდ ამ შინაგანი წყაროების საფუძველზე კი ქმნიდა ასალ ქართულ თეატრს.

როგორც კი რუსთაველის თეატრს სათავეში ჩაუდგა, პირველი ის მოთხოვა, რომ თეატრში მხოლოდ ქართული წარმოდგენები უნდა იმართებოდეს. მაშინ რუსთაველის თეატრში წარმოდგენებს მართავდნენ სომხური და რუსული თეატრები. დღეები სამივე თეატრს ჰქონდა განაწილებული. მარჯანიშვილმა პრაქტიკულად განხორციელა თავისი მოთხოვნა.

„ქართულ თეატრში უნდა იქნეს გამოყენებული ქართული ოპერა, აკადემიური გუნდი, ცელაზე კართული ქართული“ აი, ამ ცელაზე ქართულის შექმნისა და დამკვიდრების იდეით დაიწყო მოღვაწეობა.

როცა სათეატრო ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა კოტე მარჯანიშვილი, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი, მაშინ თქვენ ვრიგოლ რობაჲიძემ, რომ ეს ინსტიტუტი „ბევრს გააოცებს თავისი ძალებით“. სწორედ აქ, კ. მარჯანიშვილთან, ს. აბმეტელთან და პირველ რექტორთან ა. ფალაგასთან ერთად 1923 წელს საფუძველს უყრიდნენ უმაღლეს სათეატრო განათლებას ი. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ნ. შიუკაშვილი და



შდადიანი

სხვები. მარჯანიშვილმა სტუდენტებს მიანდო თავისი ნაწარმოები „მზეთამზე“. ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ამიტომ თქვენს სულში, თქვენს ქცევებში, ხალხის წილში ეძებეთ სცენური ფორმები - ასწავლიდა იგი ახალგაზრდებს. როგორი გატაცებით მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ დასაჭამელად: ს. ახმეტელი პრესაში იუწყებოდა: „ჩვენი ძეირფასი კოტე მარჯანიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, ქართული დრამის რეჟისორთა კოლეგია დგამს რუსთაველის გრინალურ ქმნილებას, „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებას“. დიდი გატაცებით შეუდგა ვაკას „მოკვეთილზე“ მუშაობას. რუსთაველისა და ვაკას ნაწარმოებების თვით დაუმთავრებელი რეჟისორებიც კი იმას ნიშნავს, რომ კოტე მარჯანიშვილის სათეატრო კონცეფცია ღრმად ეროვნული იყო. თეატრში კი ეროვნულობა მოიცავს არა მხოლოდ პიესას, არამედ მსახიობის, მხატვრის, კომპოზიტორის შემოქმედებას, რეჟისორის ნააზრების მთელ სისტემას, მისი გამომსახველობის ურთისეს ფენომენს.

1923 წელს კოტე მარჯანიშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში განაცხადა - „უახლოეს თანამშრომლად მე მინდა გვერდში მედგას ახალგაზრდა რეჟისორი ახმეტელი“.

ასე დაიწყო კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის ერთად მუშაობა.

კოტე მარჯანიშვილს თეატრში დახვდა ღრმა წინააღმდეგობანი. თაობათა შორის წარმოქმნილი შემოქმედებითი განსხვავებულობა პრინციპული ხასიათისა იყო. „ამ ორი თაობის მსახიობთა ურთიერთობაში, - წერდა დ. ანთაძე, - ასაკის საკითხი არ იყო ისე მნიშვნელოვანი, როგორც აქტიორული ოსტატობის არსის და თეატრალური ხელოვნების ბუნების გაგების პრობლემები. უფრო ის თაობის მსახიობები თამაშობდნენ დიდი ხნის წინათ შემუშავებული ხერხებით... ისინი მომხრენი იყვნენ პრინციპისა „ყველანი ერთისათვეს“. ახალგაზრდები უფრო სინთეზური თეატრის მომხრენი იყვნენ. ეს ახალგაზრდები ოცნებობდნენ ახალ ფორმებზე, ახალ გზებზე, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახალი ეპოქის მსახიობებს მაღალ ოსტატობად უნდა პერსონალთ დამზადებული პლასტიკა, მოძრაობის ყველა საიდუმლოება. სხვა რიტმი და სხვა თეატრალური მრავალსახეობა იყო სცენაზე საჭირო, ვიდრე ეს ჩანდა ძეგლი სკოლის მსახიობებში. დრომ მოითხოვა ყველაფრის გარდაქმნა და თეატრსაც ხომ კველაზე უკეთ უნდა ეგრძნო

დროის მაჯისცემა!

თეატრის „მძიმე ვითარება ახალგაზრდობას უფრო ამჭიდროებდა, ვიდრე სამუალო და ძველი თაობის დიდოსტატებს“.

ამგვარ სიტუაციაში მუშაობა კოტე მარჯანიშვილისთვისაც მძიმე იყო, მაგრამ საინტერესო.

ს. ახმეტელს განათლების სახალხო კომისარიატიც რეკომენდაციას უწევდა მარჯანიშვილის წინაშე. დგომიდა დიდი რეფორმების ხანა. - უფრო სწორად, - გადატრიალების ხანა. ცხოვრება ძირფესვიანად იცვლებოდა და იგივეს მოითხოვდა თეატრისაგანაც. რეფორმები უკვე ჩატარებული იყო ა. წუწუნავას მეთაურობით. ახლა რეკოლუციური გარდაქმნა იყო საჭირო.

სანდრო ახმეტელმა და ცნობილმა მომღერალმა ოლღა ბახუტაშვილ-შულგინამ ჩამოაყალიბეს ახალგაზრდა მომღერალთა დასი. ეს იყო სახალხო ოპერა, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი იარსება. წარმოდგენებს მართავდნენ ამჟამინდელი მარჯანიშვილის თეატრის შენობაში. დირიჟორი იყო ზაქრიას ძმა, პოლიკარპე ფალიშვილი. ახმეტელმა აქ კვლავ დადგა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, უსახსრობის გამო ენთუზიასტთა ჯგუფი დაიშალა. თეატრში მარჯანიშვილს ყველაფრი მოსაგარებელი დახვდა - დასის დაკომპლექტებიდან თვით წვრილმან ტექნიკურ პირობებამდე. ა. ფალავაძე ერთი დიდი წინასწარმოსამზადებელი საქმე გააკეთა. თეატრში თავი მოუყარა საქართველოს საუკეთესო სამსახიობო ძალებს. თითქმის შეუძლებელი იყო ამდენი სხვადასხვა ესთეტიკური მრწამისისა და ასაკის გაერთიანება, თანამოაზრებად ქცევა. სწორედ თანამოაზრებია აკლდა ამ თეატრს და ეს იყო მისი უბედურება. ვიდრე დასი არ გაერთიანდებოდა თანამოაზრების პრინციპით, მანამდე ძნელი იყო ახალი ტიპის თეატრის შექმნაზე, ერთ მონოლითურ მხატვრულ ორგანიზმზე ოცნება. მარჯანიშვილის უბირველესი საზრუნავიც ეს იყო, მაგრამ საჭირო იყო დრო. თეატრში ერთად მუშაობდნენ კ. მარჯანიშვილი, ა. წუწუნავა, ა. ფალავა, მ. ქორელი, ა. ახმეტელი. შეუთავსებელის შეთავსების სურვილი თუ კომპრომისი? ასე თუ ისე, ისტორიული რეალობაა გარდამაგალი ეტაპის რეჟისურის სვედრი.

სამ აქტომბერს თეატრის მცირე დარბაზში (მაშინ სარკეებიან დაბრაზს უწოდებდნენ!) ა. ფალავას ხელმძღვანელობით გაიხსნა სტუდია. საზეიმოდ შეკრიბა შესანიშნავი ინტელიგენცია. ა. ფალავამ ბრწყინვალე ორგანიზაცია გაუკეთა სტუდიის გახსნას. მან

წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა, რომ ჩვენი წინაპრები დიდ ხანს ოცნებობდნენ მსახიობთა აღზრდის სკოლის გახსნაზე (ამის შესახებ ითქვა მსახიობთა პირველ ყრილობაზეც), ბევრჯერ სცადეს სტუდიური მუშაობის წამოწყება, მოძებნეს სხვადასხვა ფორმები, მაგრამ გ. ჯაბადარის ჩამოსვლამდე ნამდვილი სტუდია ვერ შეიქმნა და აი, ახლა საფუძველი ეყრება ახალ სტუდიას. ა. ფალავაშ თავის სიტყვაში მოკლედ განსაზღვრა სტუდიის მიზანი. სიტყვებით გამოვიდნენ: კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი, ტ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, ერთი წლის შემდეგ ა. ფალავას სტუდია გადაკეთდა სათუატრო ინსტიტუტად, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ქართული თეატრისათვის კადრების მომზადების საკითხი. ინსტიტუტის შექმნის გამო გაზ. „ორიონი“ (N 1, 1923) წერდა: „საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, დაარსებული იქნას ქ. თბილისში სასკრნო ხელოვანების უმაღლესი სკოლა-სათეატრო ინსტიტუტი, შემდეგი განყოფილებებით: 1. დრამატული სტუდია, 2. საოპერო სტუდია, 3. საოპერო გუნდის კლასი, 4. დრამატული სკოლა, 5. პლასტიკისა და რიტმული გიმნასტიკის კლასი. აღნიშნულ ინსტიტუტში ამთავითვე ჩაირიცხებიან აკაკი ფალავას სტუდიისა და სკოლის მსმენელები. ახლად შემოსულთა მიღება დაიწყო გუშინ, 20 ოქტომბერს. სათეატრო ინსტიტუტის ხელმძღვანელად მოწვეულია კ. მარჯანიშვილი, ხოლო დირექტორად ა. ფალავა“. ჩამოთვლილი ე.წ. „სტუდიები“ დაახლოებით თანამედროვე ფაკულტეტებს და სპეციალობებს ნიშნავს. ინსტიტუტის სასწავლო გეგმა იყო უაღრესად ზუსტი, მიზნობრივი და კონკრეტული. მსახიობთა აღზრდის სიტყმაში არაფერი არ იყო ზედმეტი. ინსტიტუტში ისწავლებოდა მხოლოდ ის დისკიპლინები, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული მსახიობის პროფესიულ აღზრდასთან. ამავე ქრონიკაში ვკითხულობთ: „სათეატრო ინსტიტუტში ისწავლება: სუნთქვისა და ხმის დაყრინება, ხელოვნური მეტყველება (მხატვრული მეტყველება - ვკ.), რითმული გიმნასტიკა, პლასტიკა, აკრობატიკა, სიმღერა, ფარიკაობა, სასკრნო ელემენტები, იმპროვიზაცია და მიმოდრამა, ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, ქართული ენა, ფსიქოლოგია, სასკრნო განსახიერებათა ისტორია, ტანისამოსის ისტორია, ქართული ტანისამოსის ისტორია, ძირითადი კითხვები ქართული ხელოვნებისა, ქსოვეუკასა. სათეატრო ინსტიტუტში მასწავლებლად მოწვეული არიან, პროფესიონები: ი. ჯაგახიშვილი, ალ. ნათოშვილი, გ. ჩხეინაშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, ი. შარლე-

განი, რეჟისორები კ. მარჯანიშვილი, ა. ფალავა, ა. ახმეტელი, გ. ქორელი, პედაგოგი და დრამატურგი ნ. შიუკაშვილი“. ვის იღებენ ინსტიტუტში? „ვისაც ექნება შესაფერი ტანი, სმენა და რიტმი“. ხედავთ? - ტანადობა პირველ ადგილზეა (როგორ არ ეშით ეს ზოგჯერ თანამედროვე რეჟისორებს!)... ყველა თანამედროვე თეატრალურ ინსტიტუტს შექარბებოდა ასეთი სასწავლო გეგმა და პედაგოგთა შემადგენლობა!“

ახმეტელი იმპროვიზაციას ასწავლიდა, ინსტიტუტი რესთაველის თეატრის განუყოფელი ნაწილი იყო. სტუდენტები მონაწილეობდნენ თეატრის წარმოდგენებში, იშრდებოდნენ თეატრის ატმოსფეროში.

...5 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე შეიკრიბნენ მსახიობები. წინა დღით დასმა უკვე წაიკითხა ა. ფალავას ბრძანება ს. შანშიაშვილის „როდამის“ წარმოებაში ჩაშვების შესახებ. სპექტაკლს დგამდა ა. ახმეტელი.

7 ოქტომბერს რეპეტიცია ჩაიშალა. გ. იორდანიშვილმა დღიურში ჩანაწერი გააკვთა: „მსახიობნი შეიკრიბნენ სარეპეტიციო ოთახში და რეჟისორს ელოდნენ 50 წუთს; რეჟისორი არ გამოცხადდა და მსახიობებიც დაიშალნენ, დაბარებული იყო მთელი დასი. არ გამოცხადდნენ აგრეთვე შემდეგი მსახიობები: ტ. აბაშიძე, ც. ამირჯიბი, აბელიშვილი, ნ. დავითაშვილი, ნ. ჩხეიძე, ა. გომელაური, დ. მუკა, შ. ხონელი, უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, ს. მამალაური, მ. გარდოშვილი, ბახტაძე, თ. თოხაძე, რეპეტიცია მოიხსნა“. საოცარი დოკუმენტია! რა მოხდა?? დასის ძირითადი ნაწილი რეპეტიციაზე არ მოდის, არც ახმეტელი მოდის.

ზოგიერთი მომენტის ახსნას იძლევა დღიურის სხვა ჩანაწერი: „მსახიობნი უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, გ. გომელაური, პროვინციიდნ არ არიან ჩამოსულნი. ც. ამირჯიბი და სანდალა დაში არ ირიცხებიან. ნ. ჩხეიძეს არ სცოდნია რეპეტიცია“. ჩანაწერს ხელს დ. ანთაძე აწერს. მეორე ჩანაწერს კი დ. ჩხეიძე, ამ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ს. მამალაძე, მ. გარდოშვილი და ა. თოხაძე დაჯარიმებულნი არიან თითო 100 000 მანეთით. ალ. ახმეტელი 500 000 მანეთით“. თოთხმეტი კაციდან 9 მსახიობის შესახებ ასე თუ ისე არის განმარტება, მაგრამ დანარჩენები რად არ მოვიდნენ რეპეტიციაზე, მიზეზი არ ჩანს. სეზონი გაიხსნა, რეპეტიციები დაიწყო და სამი მსახიობი (უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, ა. გომელაური) არც კი გამოცხადებულად თეატრში. რომელ დისკიპლინაზე შეიძლება ლაპარაკი?“

თეატრი ძალიან ნელა დგებოდა კალაპოტში. თვით მარჯანიშ-

კილის პირველი რეპეტიციებიც კი გააცდინა ზოგიერთმა მსახიობმა. თეატრში სავსებით მოშლილი იყო დისციპლინა. ახმეტელი „როდამსა“ და „სალომეს“ დგამდა. რეპეტიციები პარალელურად მიღიოდა. რეპეტიციები საკმაოდ ხშირად იშლებოდა. თეატრის ცხოვრებაში ღრმა პროცესები ხდება, ათასგარი ინტერესები გადაეჯაჭვა ერთმანეთს, სხვადასხვა გემოვნების, აღზრდის სხვადასხვა თაობის და კლასობრივი პოზიციის ადამიანების გაერთიანება მექანიკურ ხასიათს ატარებდა და ისეთმა დიდმა წარმატებამაც კი როგორიც „ცხრის წყაროს“ დადგმა იყო, - შინაგანად ვერ შეკრა დასი. საერთო წარმატების მიღმა იგრძნობოდა ეკლექტიზმის შედეგები. ჩანდა თაობების პოზიციათა სხვადასხვაობანი. ქ. მარჯანიშვილი და ახმეტელი განსაკუთრებით დამეგობრა „სალომეაზე“ მუშაობამ. სპექტაკლის ირგვლივ ახმეტელმა ცხარე კამათში ნათლად გამოკვეთა თაობათა განსხვავებული ინტერესები. ახმეტელი ამ პერიოდის შესახებ წერდა: „თავი იჩინა დაჯვაფებამ. ერთ ჯგუფში იყნენ ყველა რეჟისორები და ძეველი თაობის მსახიობები ა. წუწუნავას მეთაურობით და მეორე მხარეს მარჯანიშვილის, ახმეტელი და ახალგაზრდების ნაწილი“. ახმეტელი ამ დაპირისპირებას ასე ხსნის: „ნამდვილად კი ეს იყო ბრძოლა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიმდევრებისა და პირობითი ესთეტიკური თეატრის მომხრეთა შორის - ალ. წუწუნავასა და მარჯანიშვილს შორის. ბრძოლა, რომელიც რევოლუციამდელ თეატრალურ რუსეთში მიმდინარეობდა, უკვე გასაბჭოებულ საქართველოში გადოვიდა. მათ შორის (მარჯანიშვილი და წუწუნავა) დამოკიდებულება იძდნად გამწვდედა, რომ ერთად მუშაობა აღარ შეეძლოთ და წუწუნავა წავიდა თეატრიდან“. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიმდევრები და პირობითი ესთეტიკური თეატრის მომხრეთა შორის, - ალ. წუწუნავასა და მარჯანიშვილს შორის. ბრძოლა, რომელიც რევოლუციამდელ თეატრალურ რუსეთში მიმდინარეობდა, უკვე გასაბჭოებულ საქართველოში გადოვიდა. მათ შორის (მარჯანიშვილი და წუწუნავა) დამოკიდებულება იძდნად გამწვდედა, რომ ერთად მუშაობა აღარ შეეძლოთ და წუწუნავა წავიდა თეატრიდან“. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიმდევრები და პირობითი ესთეტიკურის, - ანუ უკეთ - მეიერსოლიდის მიმდევრები ქართულ სცენაზე საბოლოოდ გათიშნენ. ყველაფერი ეს ზუსტად ასახავს იმუამინდელ ქართულ თეატრში მომხად წინააღმდეგობათა ხსიათს. პირველი ბრძოლა ქ. მარჯანიშვილისა და ალ. წუწუნავას მხატვრულ პრინციპებს შორის მოხდა.



ქ. ქორელი

ა. წუწუნავა თეატრიდან წავიდა. მკითხველი მიხვდება, რომ ეს ბრძოლა არ იყო პირადული. ალ. წუწუნავას მარჯანიშვილის ჩამოსვლამდე ფაქტიურად ლიდერის მდგომარეობა ჰქონდა. ქართულ დრამაში, უდიდესი ავტორიტეტი მოეპოვებინა, ეროვნული საოპერო რეჟისურის ფუძემდებელი იყო. პირველი მხატვრული კინოსურათი შექმნა. ასე რომ, მისი ლიდერობა საესტი დამსახურებული გახლდათ. და აი, მოგოდა დიდი რეჟისორი ქ. მარჯანიშვილი, რომელიც სულ სხვა თეატრალურ პრინციპებს იცავდა. აქ გაიყო მათი გზები.

პროცესები, რომელიც ქართულ თეატრში ხდებოდა, მეტად ღრმა იყო. ფართო განშტოებების კონფლიქტში ჩართული იყო არა მხოლოდ თეატრის მოღვაწენი, არამედ მწერლებიც, მხატვრებიც, საზოგადოების ფართო ფენები და პოლიტიკური ძალები. ის, რაც თეატრში ხდებოდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამოძახილი იყო. თეატრი იმ საჯარო დაწესებულებად იქცა, სადაც უფრო მკაფიოდ გამოვლინდა სხვადასხვა შეხედულებანი. ქ. მარჯანიშვილმა ნათლად იგრძნო, რომ ახალგაზრდა რეჟისორის სპექტაკლზე („სალომეა“) თავდასხმა მარტო ახმეტელის წინააღმდეგ ბრძოლით არ იყო გამოწვეული. თეატრის ცვლილებებს ადგილად ვერ ეგუებოდნენ. ბრძოლა გაშლილი იყო ათას ფრონტზე - შინ და გარეთ.

ვერ იქნა და ახმეტელმა ვერ შესძლო „სალომეს“ რეპეტიციების აწყობა, მუშაობას ხან რა უშლიდა ხელს და ხან რა, - განსაკუთრებით კი მსახიობთა უდისციპლინობა. მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა. ა. ფალავა ცდილობდა დისციპლინის დამყარებას, მაგრამ მისი მცდელობა ზოგჯერ (არა იშვიათად) უშედეგოდ მთავრდებოდა. მარჯანიშვილი კი ორგანიზაციულ საკითხებში მაინც ამაინც არ ეროდა.

ახმეტელი იძულებული ხდება მეორედ დასტოვოს თეატრი. მსახიობები, რომლებიც მის გვერდით მუშაობენ და რეპეტიციებს უცდენენ, მასზე უფრო სახელიანი ახალგაზრდები არიან. მართალია, წლოვანებით ახმეტელი ათი წლით მათზე უფროსია, მაგრამ მერე რა, - სამაგიეროდ როგორც რეჟისორს ჯერ არა აქვს დიდი ავტორიტეტი, ჯერ ახალბედაა, სულ . რაღაც ორი სპექტაკლის ავტორია. იმ ახალგაზრდა მსახიობებს კი უკვე სახელი აქვთ. თ. ჭავჭავაძეს ნათამშები აქვს ლაურენსია და ყველას პირზე აკერია მისი სახელი. გამოჩნდა აკ. გასაძის ელგარება, სცენაზე მთელი

თაობაა ახალგაზრდობისა „ცხერის წყარომ“ რომ გამოავლინა სრულიად სულ სხვა პროფესიულ დონეზე. მაყურებელი პატივს სკოლს მათ ნიშტს. მაგრამ რეპეტიციების ჩატარების ძველი მანქრა ჯერად მოქმედებს, დიდია ინერციის ძალა. მაშ, სხვა რით უნდა აიხსნას, როცა უნიჭიერესი უ. ჩხეიძე არ იმეორებს რეპეტიციას? არ ემორჩილება რეჟისორს? სწორედ ასე ხდებოდა ძველ თეატრში, და ის ცოდვა გაღმოვიდა ახალში. ახლა ბენეფისები და შემოქმედებით სალამოები თუ საზაფხულო გასტროლები? ვისაც რა უნდა და როგორც უნდა ისე თამაშობს, ხალტურა მოეძალა თეატრს. მარჯვნიშვილისა და ახმეტელისათვის კი ყველაფერი ეს უცხოა და მიუღებელი. მსახიობები იგვანებენ რეპეტიციებზე. თეატრის დირექტორი და დ. ჩხეიძე ახმეტელს წერს: 1. თანამშრომელი შამათავა დაჯარიმებული იქნას 500 000 მანეთით; 2. ა. ვასაძეს და ვ. ჯიქიას კვითოს მიზეზი დაგვიანებისა, რატომ მოხდა, რომ მათ 2 1/2 დააგვიანეს შეუტყობინებლად. 3. უ. ჩხეიძე დაჯარიმებული იქნას 300 000 მანეთით. რაც შეეხმა რეჟისორ ახმეტელის განცხადებას, ამაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მეორე მუხლის გამოკვლევის შემდეგ“.

საქმეში კ. მარჯვანიშვილიც ჩაერია. თეატრში ათასი ჭორი დატრიალდა. გამოირკვა, რომ რეპეტიციაზე ა. ვასაძისა და ვ. ჯიქიას „დაგვიანება საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული. უ. ჩხეიძე პირადად ელაპარაკა ახმეტელს. სპექტაკლში ხომ ინსტიტუტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ჩერებს მკითხველს ნურც დიდი მსახიობების სახელთა ხსენება შეაკრთობს, ნუ უუცხოება დისკიპლინის დარღვევის ასეთი ფაქტები. მაშინ ის მსახიობები ასე სახელოვანი ადამიანები როდი იყვნენ, ის-ის იყო ფრენას სწავლობდნენ და ბევრი რამ არ იკოდნენ, სვამდნენ კიდევაც, ქალებშიაც ატარებდნენ დროს, ჩხუბიც მოსვლიათ სხვებთან თუ ერთმანეთში, ერთი სიტყვით ახალგაზრდები იყვნენ. მათაც გაიარეს საკუთარი თავის აღზრდის, პროფესიონალური გაწვრთნის როლი გზა. დიდებისაკენ მიმავალი გზა ჯოჯოხეთურად დიდ შრომასა და თავგანწირვას მოითხოვს. ქართველ კაცს კი მუდმი სამოთხისაკენ უჭირავს თვალი. მხოლოდ ერთეული, იშვიათი გამონაკლისი მიდიან ტანჯვის გზით სიხარულისაკენ. ჰოდა, რად უნდა გაფუძულებოთ ახალგაზრდებს ლხინი და დროსტარება, ბოკმური ცხოვრებათავის რომანტიკულ ბურუსში ხვევდა მათ. გავლენ წლები და უშანვე ჩხეიძე სინაულით მოიგონებს: „ჩემი რკინისებური

ჯანმრთელობა მე გავტეხე უსისტემო მუშაობით და უწესრიგო, დაუდევარი ცხოვრბით. მე გადავწევი ჩემი ენერგია და ხანმოკლე ბედნიერ, მზიან დღეებს თან მოცყვა დაუქმაყოფილებელი და ჩემთვის უაღრესად ტრაგიკული დასასრულო“.

სულისშემძრელი აღსარებაა. მერედა რატომ მოხდა ასე. აქაც უშანვისებური გულწრფელი თქმა: „მე... მოკლებული ვყავი ყოველგვარ ზომიერებას ცხოვრებაში“. იგი ამას ანდერძივით უბარებდა ახალგაზრდებს, აფრთხილებდა: „ჩემი წერის მიზანს შეადგენს ახალგაზრდობა ააცდინოს იმ შემცდარ შეხედულებებს და ნაბიჯებს, რომელიც თან სდევს ხოლმე გამოუცდელი ადამიანის მოღვწეობის დასაწყისს“.

სიჭაბუკის ვნებითა და ტემპერამენტით, ცხოვრებისაგან მაქსიმუმის მიღების სურვილის გახელებულ, ახალგაზრდობაში იმთავითვე „დიდი არტისტის“ თუ „ბრძენი შემოქმედის“ კვალის ძიება, რომელსაც მემუარისტები, კრიტიკოსები თუ მასები იწყებენ უკვე შედეგის ანუ სწორედ დიდი არტისტის პოზიციებიდან ხდება. ამდრიად ბიოგრაფიის სათავეების ხსიათის ფორმირები პროცესს ასეთი „ჩასწორება“ შემოქმედის ცხოვრების ხელოვნური გამარტივება და ნაკლთა მიჩქმალვა, ერთობ აუთასურებს ადამიანის სამყაროს.

არც ა. ვასაძეს დაუფარია თავის მემუარებში ყმაწვილკაცური შეცდომები თუ მუშაობის ნაკლოვანებები. დიდი აქტიორული თაობა, რომელიც საფუძველს უყრიდა ახალ ქართულ თეატრს, ერთდღიან შაბათობაზე კი არ იყო გასული. მათ უხდებოდათ ყოველდღიური, დაბაბული შრომა, საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვა, უფროს თაობებთან ხან შეჯახება, ხან დამეგობრება. სხვა უნდა ყოფილიყო რეპეტიცია, თამაშის სტილიც. ამას მოითხოვდნენ კ. მარჯვანიშვილი და ს. ახმეტელი. კ. მარჯვანიშვილი დიდი გამოცდილების რეჟისორი იყო, ყველაფერი ჰქონდა ნანახი, მისთვის თეატრის ბუნების უყველა საიდუმლო ნაცნობი იყო. ამიტომ ახმეტელივით განგაშაც არ ტეხდა მსახიობი თუ რამე მიზეზით გააცდენდა რეპეტიციას. მეორე დღეს დაიბარებდა და ისეთს ეტყოდა, რომ მას უფრო აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე წმინდა ადმინიტრაციული. ახმეტელს კი ზოგჯერ ახსა-განმარტების მოსმენაც არ სურდა. თავს იჩენდა გამოუცდელი რეჟისორის თვისებები. ზედმეტი სიფიქტე, სიჯიუტე, თავის უფლებებში დაჯერება, ბევრს ნიშნავს პრაქტიკული გამოცდილება, განსაკუთრებით ადმი-

ანებთან ურთიერთობის დროს.

იმდენი ინდივიდუალობაა ყოველ ხელოვანში, რომ მეტად ძნელია მათი საქოთო ნიშნების დადგენა, ყოველი მათგანი თავისუბურად იტანჯება ღრმა შენაგანი კონფლიქტებით, „კონფლიქტი მიუძღვის ხელოვანს ნაწარმოების შექმნისაკენ“. პოდა, თუ ასეა, კონფლიქტებით იყვნენ საქენი დიდი მსახიობები. მოსავალიც უხვი ჰქონდათ. თუ უ. ჩხეიძემ რეპეტიციის გამეორებაზე უარი თქვა, თუ ა. ვასაძეს რეპეტიციაზე დაავიანდა (რაც ერთობ იშვიათი იყო სწორედ ვასაძისათვის), თუ ვ. ანჯაფარიძემ რეპეტიცია მიატოვა, ან ის, რომ მსახიობებმა მთელი დამე იქეითეს ქიმერიონში და დილის რეპეტიცია ჩაშალეს, ან ის, რომ ზოგჯერ ნასავამიც მისულან თეატრში, ზოგჯერ სპექტაკლიც მოხსნილა, ზოგჯერ მწარედ უნანებიათ ერთმანეთისათვის, უნიჭობა შეუქათ და ათასი სხვა ადამიანური ცოდვები ჩაუდენიათ. დასკვნებისათვის ნუ ავქარდებით. ნურც ხმაურს ავტებავთ, აქაოდა დიდი ადამიანები ამას და ამას არ იკადრებდნენო, - მეტად საშიშია პროვინციალიზმის მანტია. დიდ ერქები დიდ თვითშილებითაც გამოირჩევან. ბრძენი ილია ხშირად შეახსენებდა ხოლმე თავის ხალხს, რომ კრიტიკულად შეეფასებინათ თავიანთი ნაკლოვანებანი.

არავის სიღიადეს არ ამცირებს არცერთი ის ფაქტი, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი. უ. ჩხეიძის სახელს ვითომ დაკალდა ამით რამე? ან რომელიმე მათგანს რამე მოაკლდათ? - არაფერო. სამაგიუროდ ამ ფაქტებში გამოჩნდა რა დიდი შრომა დასჭირდათ კ. მარჯანიშვილსა და ს. ახმეტელს მაღალ პროფესიონალურ რელსებზე გადაეყვანათ მთელი თეატრი, შეეკრათ, შეერთებინათ დასი. გაეზარდათ თითოეულის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა თავისი პროფესიისა და ქვეყნის წინაშე. ისტორიული მისის გრძნობა - განსაკუთრებული გრძნობაა და მას აღზრდა უნდა!

ამასთანვე, ჩვენ ამ ფაქტებით იმსაც ვგებულობთ, რომ ძნელი იყო ამ ახალგაზრდა მსახიობების შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ფორმირების, მათი მომწიფების პროცესი. შემოქმედის დაუმორჩილებელი სული ბობოქრობდა მათში. ერთს კი არა, ათ მარჯანიშვილსა და ახმეტელს გააქცევდნენ თეატრიდან თუ ამძვინვარდებოდნენ, თუ შეიკრებოდნენ, თუ ამდენი დიდი არტისტული ვნება ერთად გახელდებოდა. ანდა, კაცმა რომ სთევას, რომელ რეჟისორს გაუძლია ამ ქვეყნად არამც თუ ძლიერ, არამედ საშუ-

ალო ნიჭის მსახიობთა ჯვეფური შეტევისათვის?..

კოტე მარჯანიშვილი ყველაფერს ერთბაშად ვერ წვდებოდა. ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ საკითხებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას ვერ აქცევდა. მხატვრული პრობლემები ათასგვარ საზრუნავს უჩნდა. ყველაფერში ერთბაშად მოიყარა თავი. ფორმირების ურთულეს პროცესში ათასგვარი წინააღმდეგობები იჩნდა თავს. რა არ ხდებოდა ამ დროს. ყველა დარგში გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, ასევე თეატრშიც, მათ აღზრდა უნდოდათ, პროფესიული აღზრდა.

კ. მარჯანიშვილმა კარგად გაიგო თეატრში შექმნილი სიტუაცია. გაიგო ის ატმოსფერო, რაც თეატრის ირგვლივ იყო. ამ ატმოსფეროს ხასიათს ზუსტად ავლენდა ნ. შიუკაშვილის წერილი, რომელიც გაას. „ტრიბუნაში“ გამოქვეყნდა. აი, რას წერდა იგი: „ის ინტერესი, რომელმაც ჩვენ შეგვაძყრო მარჯანიშვილის და ახმატელის წარმოდგებზე, არ არის ჯერ კიდევ ნამდვილი თეატრი, სადაც სრულდება ხელოვნების ქურუმთა მსახურება! აქ არ არის ჯერ კიდევ თეატრალობა მისი საუკეთესო მნიშვნელობით. მარჯანიშვილს თეატრი აინტერესებს პირველ ყოვლისა, როგორც სარეჟისორო ასარები!... ახმეტელმა პირდაპირ ამოხოცა მსახიობები მუშაობით, საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მის წარმოდგენას. დირექციამ აუსარულა ახმეტელს მძიმე მოთხოვნილებები და გასწია არაჩეულებრივი ხარჯები, დადგა „ბერდო ზმანი“ - დაიდგა დიდი გემოვნებით, შშვენივრად, არჩევულებრივი, ხალხი აღტაცებაში მოვიდა, მაგრამ ეს აღტაცება იმ თვესებისა იყო, რომელიც ნედლდება იქვეფარდის უკანასკნელი ჩამოშვების შემდეგ!... კარგი იყენენ მსახიობები, შშვენიერი იყო რეჟისორი, ლამაზი პიესა, მაგრამ ეს არის მხოლოდ ფილოსოფიური აზროვნების ცდა პიესის სახით, ამიტომ „ბერდო ზმანია“ ჩვენ ვუცეკრით მშვიდი ღიმილით და არავითარ ღრმა ემოციებს არ განვიცდით“. შემდეგ განაგრ-



ა. წუწუნავა

ძობს: „ჩვენ იმას არ მოვითხოვთ, რომ ძევლი ნაკლად დარჩეს, მაგრამ დაგვიპრუნეთ უმთავრესი - ღრმა განცდა“. ნ. შეიუაშეილი განათლებული, ნიჭიერი, მოაზროვე მწერალი იყო. მის აზრს ანგარიში ეწეოდა.

თითქოს საოცარი არ არის, რომ „ცხვრის წყაროს“ ტრიუმფის შემდეგ პრესაში მანიც იბეჭდება კრიტიკული წერილები. პრესის, კრიტიკული მახვილი არაიშვიათად არის მიმართული კოტესა და სანდროს მიმართ.

„ცხვრის წყაროს“ დიდი წარმატების შემდეგ კიდევ უფრო საგრძნობი გახდა პროფესიული ოსტატობის პრობლემები. საჭირო იყო თანამიმდევრული, მტკიცე ბრძოლა ახალი თეატრალურ-ქსეტიკური პრინციპების დასაცავად.

ამ ბრძოლაში კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი ერთ პოზიციაზე იდგნენ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ განსხვავდებოდა ა. წუწუნავას და კ. მარჯანიშვილის თეატრის პოზიციები. ახლა მოვუსმინოთ კ. მარჯანიშვილს, როცა „სალომეას“ გამო წერდა: „მე მსურს უფრო არითებულ სიტყვა ჩემს ახალგაზრდა მეგობარს ახმეტელს. თქვენ უკვე აკრძალულ ხართ. „სალომეას“ ჯერ არ დადგმულა და თქვენ უკვე აკრძალეთ ქვეშ იმყოფებით. აკრძალული ხართ არა მთავრობის მიერ, არამედ ხელოვნების რევიზორობის მიერ, რომელიც „სალომეაში“ ვერ ხედავენ ვერც ახალ არქიტექტონიკას, ვერც იმ ღრმა ტრაგიკულ პროტესტს ადამიანის სულისა, რომელმაც მოისურვა ბედნიერება ქვეყანაზე და არ მოინდომა ცდა ზეცამდე... თქვენ რომ დაუსვათ საკითხი თანამედროვეობის საკმაოდ განვითარებულ პირებს, თუ რომელ თეატრს თვლიან ისინი საუკეთესოდ, ისინი თქვენ გულწრფელად გიასუხებენ: მოსკოვის მხატვრულს, ე.ი. თეატრს უხებისყოფობისა და სიმშვიდისა, ე.ი. უკელაზე უქრისტიანეს თეატრს. ხოლო ჩვენ, თქვენთან ერთად გავწყვიტოთ კავშირი მასთან და ვეძიოთ თეატრი ვაუკაცური, თეატრი დამატებული ცხოვრების ქვეყნაზე“.

ახმეტელის სპექტაკლმა, პრესისა და მაურებლის აზრთა სხვაობა გმირიწვია, კრიტიკა უპირატესად პიესის ეთიტიზმის, გადაჭრებული ვნებიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული. არსებითად, ამავე ნაკლს უსაყვედურებდნენ სპექტაკლსაც. მაგრამ არც ამ საკითხში იყო ერთსულოვებება. ზოგს მიაჩნდა, რომ ს. ახმეტელმა შეარბილა ვნების პათოსი და ამით დაშორდა ო. უაილდის გმირებს. სპექტაკლში ძირითადად ახალგაზრდა მსახიობები მონაწილე-

ობდნენ (ვ. ანჯაფარიძე, ა. გასაძე, გ. დავითაშვილი. მ. ლორთქი-ფანიძე და სხვები). ასე რომ, ახმეტელი დაუინიტით იცავდა ახალგაზრდა მსახიობების დაწინაურების კურსს. კ. მარჯანიშვილის ფრთხებები ადვილი იყო ამ აქტის ჩატარება! წარმოდგენის მონაწილის ა. გასაძის აზრით, ამ სპექტაკლმა მნიშვნელოვანი როლი შესარულა ქართული თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში. ამ სპექტაკლით გამოიცნო „კოტე მარჯანიშვილმა თვისი მომავალი თანამებრძოლი და თანამოაზრე რეისურაში, სანდრო ახმეტელი და დაიახლოვა კიდეც. ა. ახმეტელი კი ბედნიერი იყო, რომ ამ დღიდან თანაზიარი გახდა კ. მარჯანიშვილისა და თანამონაწილე მისი დადგმისა რესთაველის თეატრში“.

გმირული, ვაუკაცური თეატრის საწყისების ძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ოცინი წლების დასწულის ქართულ თეატრში. მხარდაჭერის ღირსი იყო ამ ტედნების თუნდაც მცირედი გამოინაკრობი. ათასგვარი იზმების ატმოსფეროში უნდა გმოვყეთილიყო ის წყაროები და მინიშნებანი, რომლებიც შემდეგ მომძლავრდებოდა და ნოუერ ნიადაგს შეუქმნიდა ეროვნულ თეატრს. ძიებათა ამ პროცესში გარკვეული როლის შესრულება შეეძლო „სალომეას“, რომელიც თავისი თეატრალური ესთეტიკით „ბერდო ზმანისაგან“ დიდად შორს არ იდგა. ჩვენ ვლაპარაკობთ არა შინაარსობრივი თვალსაზრისით, არამედ უპირველესად სპექტაკლის აგების პრინციპით, სინთეზური მსახიობის ძიების სურვილით, პლასტიკის, რიტმის სახვითობის სფეროში წარმატებებით, თავისი მებრძოლი, ბუნტარული სულისკვეთებით.

1922 წლის 25 სექტემბერს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში წაკითხულ მოხსენებაში კ. მარჯანიშვილმა მოიგონა შეხვედრა ფინელ მხატვართან აქსელ გალენთან, რომელიც მან იქსენის პიესის („ქალი ზღვიდან“) დასადგმელად მოიწვია სამხატვრო თეატრში. მხატვარმა თურმე ჰქითხა - მე რატომ მომზართა სამხატვრო თეატრი, როდესაც რუსეთში ბევრი კარგი მხატვარია. მე ვუპასუხე - განაგრძობს მარჯანიშვილი, - რომ თეატრი მხატვრული სიმართლისაკენ ისწრაფვის და ამიტომ მიმართა, რომ ამ სიმართლის ჩვენებას უკელაზე უკეთ მხოლოდ ის ოსტატი შესძლებს, რომელიც გაიზარდა იმ ბუნებაში, ჩვენ რომ ვაპირებთ ასახვას-მეთქი. გალენს ჭიკიანურ სახეზე ღიმილმა გადაუარა. უსიტყვოდ გავიდა მეზობელ ოთახში და გამოიტანა ორი ტილო, რომელზედაც ასახული იყო აფრიკის პეიზაჟები და ეტიუდები. წინ

დამიღვა ეს ტილოები და მკონსა, რომელი მოგწონთ. მე მიუუთითე არაჩვეულებრივად მკაფიო, მსუეუ ესკიზებზე. მან კი მითხრა: „ეს ესკიზები მაშინ დახვატე, როდესაც წარმოდგენაც კი არ მქონდა აფრიკაზე, ამ ეს მეორე კი მაშინ, როდესაც მოვიარე იქაურობა“. არასოდეს არ დაძავიშვდება დიდი მხატვრის ეს მშვინიერი სიტყვები და ასე მგონია, რომ ეს ნათქვამი იყო პირველი ბიძგი, რომელმაც შემდეგ შემაგულიანა პრინციპულად ჩამოვშორებოდი მოსკოვის სამხატვრო თეატრს და შემექმნა „თავისუფალი თეატრი“. სამხატვრო თეატრში ყოველდღიურობა თვითმიზნად იქცა, თეატრის დედააზრი კი დღესასწაულის სიხარულის შექმნაშია. სამხატვრო თეატრი მთლიანად გადაერთო მსახიობის განცდაზე (ვიმეორებ, მსახიობისა და არა მაურებლის განცდაზე), იგი ზურგს აქცევს ფორმას, იგი ვერ გრძნობს ცხოვრების რიტმს, თუმცა მაურებლზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ღრმად ჩაფიქრებული ისტუმრებს მას“.

სრულიად ნათლად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული კ. მარჯანიშვილის პოზიცია.

ის აზრი, რომელიც კ. მარჯანიშვილმა „სალომეას“ დადგმსთან დაკავშირებით გამოიქვა, იმის მაუწყებლია, რომ მარჯანიშვილს ახმეტელი თანამოაზრებდა მიზნდა.

რასაკვირველია, კ. მარჯანიშვილმა კარგად იცოდა ო. უაილდის პიესის უარყოფითი მხარე, მაგრამ მანც დაუჭირა მხარი მის დადგმას. ო. უაილდის ამ ნაწარმოებში სიყვარულით ტკბობის, სულიერი სიცარიილის, ტრაგიული წინააღმდეგობების ადამიანური სამყარო მოცემულია ბურუჟაზიული საზოგადოების ამორალური სულის ჩვენებით. ესთეტიზმის გარსი, რომელშიც განვენილია უალდის გმირთა სულიერი სამყარო, ერთობ პირქუმად წარმოადგენს მწერლის გმირებს. ს. ახმეტელის სპექტაკლი იყო ესთეტიზმული, ფეთქებადი, ამალლებული.

ქართული თეატრის მოდერნზაციის ურთელესი პრიცესი იყო 20-იანი წლების, განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევრის უმთავრესი თავისებურება, აქ ერთმანეთს შეეჯახნენ ნატურალისტური, რეალისტური, სიმბოლისტური, და ექსპრესიონისტული ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ პრესაში იყო პოლიტიკური კრიტიკა, ბოლშევიკების პარტია ერთხანს მოთმინებით ეკიდებოდა ამგვარ სტილისტურ სხვაობებს და ფორმათა თავისუფალ ძიებებს. კერ არ იყო შექმნილი იდეოლოგიური ზეწოლის მძღავრი მექანიზმი,

რომელმაც შემდეგ ტოტალიტარული სახე შეიძინა. პარტიაშიც ხომ მიმდინარეობდა ბრძოლები, არსებობდა ოპოზიცია.

ს. ახმეტელისათვის „სალომეა“ საინტერესო იყო არა მხოლოდ სტილური ძიების თვალსაზრისით, არამედ თვით პრობლემაში მის-თვის საინტერესო მოტივების გამოვლენითაც. გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ რეცეზიაში ვკითხულობთ: „პიესაში უმთავრესად ზოლგავლებულია ორი ნებისყოფა - ცის (იოქანან) და მიწის (სალომეა). ამ ორ ინდივიდუმზე იშლება მთელი პროცესი. „ეს ხომ ახლოს დგას „ბერდო ზმანისა“ ცისა და მიწის თემასთან?!..

ახმეტელის სპექტაკლმა თეატრალური საზოგადოებრიბის ვწებათა ღერღვა გამოიწვია. სპექტაკლი არ დარჩა ქართული თეატრის ისტორიაში, როგორც საეტაპო, მაგრამ ამ პერიოდში მან გარკვეული როლი მაინც შესარულა თეატრის სტილური განახლებისა და ახალი შემოქმედებითი იმპულსების ძიების საქმეში.

„სალომეას“ შემდეგ ახმეტელი მანც წავიდა თეატრიდან, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ ისევ მობრუნდა. კ. მარჯანიშვილმა ითავა მისი დაბრუნება. კვლავ დაიწყო ერთობლივი შრომა, ნერვიული და დაძაბული ცხოვრება. აგისტოში ახმეტელმა განსახომის სათეატრო განყოფილების გამგეს ასეთი განცხადებით მიმართა: „ნერვულად ძალიან აშლილი ვარ. ექიმები მირჩევნ სერიოზულად ვიმურნალო. მთელი ოჯახი ავად მყავს: ბავშვები მალარიით, მეუღლე ნერვიული დაძაბულობით. იმათაც სჭირდებათ მეურნალობა. მე კი ფული არა მაქას. გთხოვთ ხელფასის ანგარიშში მომცეთ ავანსი ორას ორმოცდაათი მილიონი (25000000)“. მეორე დღეს განსახომმა განკარგულება გასცა „ხელფასის ანგარიშში ავანსად გაეცეს ორასი მილიონი (200 000000) ახალ მანეთებში გადაყანით, სამი თვის განვადებით“. ჩანს, რომ იმ დროისათვის ქავე დიდი პატივი იყო. ამ ფაქტში ბევრი სხვა რამეც ჩანს. როგორ უჭირდა რეჟისორს, რა სულიერი განწყობილება ჰქონდა...

კ. მარჯანიშვილმან ერთად დაიწყო ჯ. სინგის „გმირის“ რეპეტიციები. წარმოებაშია ჩაშვებული ლუნცის „ბერტარნ დე ბორნი“. რეპეტიციებს გადის ახმეტელი. მარჯანიშვილმა წამოწყო ს. ბენავენტას „იეტერესთა თამაშის“ რეპეტიციები. მთელი დასი მუშაობს, ცველას აქეს თავისი როლი. მარჯანიშვილმა პირდაპირ ცეცხლი დაანთო, მაგრამ იძულებული გახდა „ინტერესთა თამაში“ რეპეტიციის შემდეგ თეატრიდან წასულიყო. არც მას ეყო ნერვები. თითქოს მოთმინების ფიალა აევსოთ. ახმეტელმა და თეატრის ხელმძღვ-

ანელობამ სთხოვა მარჯანიშვილს დაბრუნებულიყო თეატრში. კონფლიქტი სერიოზული არ იყო და მარჯანიშვილიც კვლავ შეუდგა მუშაობას. ადგილად მოგარდა პატარა ინციდენტი. სამწუხაროდ ეს „აუტარა“ ინციდენტები თუ გაუგებრობანი დიდად უშლიდნენ ხელს თეატრის მუშაობას. ადამიანთა უძილო ღამებისა და ორმა გულისტკებილის ფასად გვარდებოდა ყოველი ასეთი შემთხვევა.

კ. სინგის „გმირს“ წარმატება ხვდა. ვ. გარიყი წერდა: „რეჟისორებმა კ. მარჯანიშვილმა და ს. ახმეტელმა ამ საღამოს ამოწურეს ჩვენი სცენის მაქსიმალური შესაძლებლობა და მორიგი წარმოდგენა გადააქციეს ნამდვილ კონცერტად“.

წარმატებას წარმატება მოჰყავა. კ. მარჯანიშვილის გენია ანათებს, აღვიძებს მიუქმებულ თუ სულის უფსკრულში ჩაფარულ ძალებს, ახმეტელი ხედავს მარჯანიშვილის ფრთის ქვეშ როგორ იბადებიან ახალი ძალები, მსახიობები, მხატვრები, დრამატურგები. უსაზღვროა რეჟისორის ფანტაზია, მოქმედების მასშტაბი. მთელ დღეს მრომობს, იწვის, მოძრაობს, მოუსვერულად წრილებს, ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. ნიჭი არ ასვენებს, მარჯანიშვილი სჭირდება ახალ ცხოვრებას, ქვეყანას და მოვიდა იგი საქართველოში. თბილისი საქართველო სახელწოდების რესტორნებით, სასტუმროებით, კაფეებით. პრესა აჭრელებულია ევროპული ტიპის რეკლამებით, უცხოური სახელებით. ევროპული და აღმოსავლური ხან ერთმანეთს ერწყმის, ხან პარალელურად ცხოვრობენ. რაღაც საოცარ კოლორიტს ქმნის მათი სინთეზი. რამდენი რამ არის ზერელედ მიბაძული, პროვინციულად იმიტირებული, მაგრამ ნაღოც ბევრია, რასაც მოაქვს განახლება, მოღისა და გემოვნების დახვეწა, თითქოს სწორედ რუსთაველის თეატრში მოიყრა უკელაფერმა ერთბაშად თავი. თითქოს სწორედ აქ, რუსთაველის პროსპექტზე და ამავე სახელობის თეატრში გადის ევროპისა და აზიის გზები, იგივა მათი თავშესაყარი. აქ უფრო მძაფრად იგრძნობა სურნელება ამ ორი კონტინენტისა.



გალ. გურია

თეატრის რეპერტუარშია ექსპრესიონისტული პიესები. გერმანული ექსპრესიონიზმი აქტიურად შეიჭრა თეატრში და უცებ საოცრად ორგანიზებულ მოერგო ქართულ არტისტი შემს.

ახმეტელმა მოასწრო კიდევ ერთი დადგმა, - ს. შანშიაშვილის „ლატავრა“. მისი საძიებელი თემა ერთი და იგივეა. ისევ მეამბოხე გმირის პრობლემა!

ა. ვასაძე, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა, თუ რა როლს ასრულებდა ს. ახმეტელი „გმირის“ რეპეტიციებზე, წერს: „გმირის“ რეპეტიციები საღისიანად, ცოცხლად, საინტერესოდ მიჰყავდა ს. ახმეტელს. ჩანდა, ახმეტელი უფრთხოილდებოდა ბატონი კოტეს მიერ ამ სპექტაკლისათვის ჩაფიქრებულ მხატვრულ გეზს და ცდილობდა ღრმად გადაეტანა იგი მესამე მოქმედებაში იმ საშუალებებითა და ხერხებით, რომლითაც გამართული იყო პირველი ორი მოქმედება. ასე რომ, მოუხედავად სხვადასხვა ხელისა, რეჟისორული ჩანაფიქრის მთლიანობა ამ დადგმაში არსად არ ირღვოდა. ჩვენთვის კი, მსახიობთათვის, იმაზე დიდი ბედნიერება არათერია, როცა მორიგე რეჟისორის მთავარი რეჟისორისა ესმის და მათ მორის მხატვრულ გაუგებრობას არა აქვს ადგილი“.

კ. მარჯანიშვილი ხედავდა, რომ ს. ახმეტელი ხარბად, გატაცებით ეუფლებოდა მის დიდ გამოცდილებას. ა. ვასაძის თქმით, იმ დროს „აშკარად ვხედავდოთ სანდორ ახმეტელის წადილს - კოტე მარჯანიშვილის რეჟისორულ სკოლას დაუფლებოდა და ხელმძღვანელმაც ყველა საიდუმლოებების კარი გაულო ამ ნიჭიერ კაცს“. ეს რომ მართლაც ასე იყო, მრავალი ფაქტი ადასტურებს. ჩანს, მარჯანიშვილი კამაყოფილი იყო სპექტაკლში ს. ახმეტელის ამგვარი მონაწილეობით. შემდეგ, როცა „გმირი“ პოპულარული სპექტაკლი გახდა, მარჯანიშვილმა იგი თბილისის რუსულ თეატრშიც მოამზადა დასადგმელად. შემთხვევითი არ არის, რომ აქაც ს. ახმეტელი მიიწვია, მართალია, არა თანადამდგმელად, მაგრამ გენერალური რეპეტიციების ბედი ანდო და ეს ცოტას როდი ნიშნავს! ამ ფაქტის შესახებ და ანთაც წერს: „გმირი“ იმდენად პოპულარული შეიქნა, რომ რუსულმა დრამამ, რომელიც იმუამად მუშაობდა ახლანდელი მარჯანიშვილის სახ. თეატრის შენობაში, გადაწყვიტა ამ პიესის განსახიერება მარჯანიშვილის დადგმით. შავი რეპეტიციების შემდეგ, როდესაც სპექტაკლი ძალის მოკლე გადაში უკვე მომზადდა, გენერალური რეპეტიციების ჩასატარებლად კოტემ

გაგზავნა აღ. ახმეტელი“.

ასეთი შემოქმედებითი მეცნიერობა იყო მათ შორის იმხანად. რასაკურველია, ს. ახმეტელს ამ პერიოდში ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი, ხელმძღვანელისაგან განსხვავებული შეხედულებანი, მაგრამ მათ ურთიერთობაში მაინც უმთავრესი იყო საერთო პლატფორმა ახალი თეატრის შენებისა.

გადაგვედოთ რუსთაველის თეატრის 1921-1924 წლების რეპერტუარს და ნათელი გახდება, თუ რა უცილებლობამ წარმოქმნა კორპორაცია „დურუჯი“ და საერთოდ, რა ხდებოდა საბჭოური ეპოქის საწყის ეტაპზე. მიმდინარეობდა ნგრევისა და შენების ერთდროული პროცესი. იგი მოიცავდა ყველა სფეროს. იქნებოდა ქს პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, კულტურა თუ სხვა დარგი. ყველაფერს შეეხო რევოლუციური გარდაქმნების იდეოლოგია. ძევლის ძალით შეცვლა ხდებოდა დიდი წინააღმდევობით. ბუნებრივია ცვლილებები შეეხო თეატრსაც, მაგრამ ერთბაშად მაინც ყველაფერი ვერ შეცვალა. ჩვენს თეატრმცოდნეობით მეცნიერებაში და მემუარულ ლიტერატურაში გარკვეული ისტორიული მიზეზების გამო მტკიცედ დამკიცირდა სტერეოტიპული აზრი, რომ თითქოს „ცხვრის წყაროს“ დადგმის შემდეგ ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა, ანუ შეიცვალა მთლიანად ძევლი თეატრის ინერციაც, შეახილთა ძველებური მუშაობის სტილიც და საერთოდ მთელი სისტემა. სინამდვილეში კი ასე არ მომხდარა, თუმცა კვლავ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს „ცხვრის წყაროს“ ისტორიული როლი თეატრის გარდაქმნაში, მაგრამ რეპერტუარისა და საერთოდ თეატრის ანალიზიდან კარგად ჩანს, თუ რა სწრაფად ინგრევდა „ცხვრის წყაროთი“ მოპოვებული წარმატებებიც კი. ისევ მძლავრობდა ინერცია, ისევ იმრძოდა ძევლი ცხოვრება. თეატრში არც შეახილთა განწყობილება და არც მაყურებელი არ იყო ერთსულოვანი. საქართველოს ანექსია უმძლავრეს შინაგან წინააღმდევობას აწყდებოდა, ხალხის ნაწილი ემზადებოდა აჯანყებისათვის, ვერ ეგუებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს, ნაწილს უპერსპექტივოდ მიაჩნდა ბრძოლა, ნაწილს კი გულწრფელად სჯეროდა ბოლშევიკთა დაპირებისა. ბუნებრივია, ყველაფერი თავის გამოხატულებას პოულობდა თეატრის ცხოვრებაშიც. ჯერ თვალი გადავალოთ რეპერტუარს.

1922 წლის 25 ნოემბერს დაიდგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“.

1922 წლის 16 დეკემბერს პიერ დე კორსელის „ორი ჯიბგირი“.

1923 წლის 1 იანვარს - ჟ. ანტონოვის „მზის დაბინელება საქართველოში“ (რეჟისორი კ. მარჯანიშვილი).

1923 წლის 5 თებერვალს - ს. შენშიაშვილის „როდამი“ (რეჟის. ს. ახმეტელი).

1923 წლის 15 თებერვალს - ო. უაილდის „სალომეა“ (რეჟ. ს. ახმეტელი).

1923 წლის 27 თებერვალს - ბ. შვანლებერგის „ცისფერი ობობა“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი).

1923 წლის 6 მარტს - სუვორინის და ბურენინის „მედუ“ (რეჟ. მ. ქორელი)

1923 წლის 3 აპრილს - შივო და დიურის „მასკოტა“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი)

1923 წლის 19 აპრილს - შექმანის „მაბუტი“ (რეჟ. მ. ქორელი).

1923 წლის 24 აპრილს - შელდონის „რომანი“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი)

1923 წლის 6 მაისს - გ. სუნდუკიანის „პეპო“ (რეჟ. ვ. აბაშიძე).

1923 წლის 22 ივნისს - შექმანის „პამლეტი“ (რეჟ. ა. ფალავა)

1923 წლის 29 ივნისს - გოფომანსტალის „ელექტრა“ (რეჟ. კ. ანდრონიკაშვილი)

1923 წლის 31 ივნისს - ვ. შალიკაშვილის „უნიადაგონი“ (რეჟ. მ. ქორელი)

1923 წლის 18 ოქტომბერს - გ. ერისთავის „გაყრა“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი)

1923 წლის 29 ოქტომბერს - ს. ბენევტის „ინტერესთა თამაში“ (რეჟ. მარჯანიშვილი)

1923 წლის 19 ნოემბერს - ჯ. სინგის „გმირი“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი)

1923 წლის 4 დეკემბერს - ე. ტოლერის „კაცი-მასა“ (რეჟ. გ. ქორელი)

1924 წლის 2 იანვარს - მოლიერის „გაზნაურებული მდაბიო“ (რეჟის. კ. მარჯანიშვილი)

1924 წლის 14 თებერვალს - გ. კაზერის „გაზი“ (რეჟ. კ. ანდრონიკაშვილი)

1924 წლის 24 აპრილს - დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რეჟის. ა. ფალავა).

1924 წლის 29 ოქტომბერს - ს. შანშიაშვილის „მათრახის პანაშვიდი“ (რეჟის. კ. მარჯანიშვილი)

1924 წლის 30 ოქტომბერს - ს. შანშიაშვილის „ლატავრა“ (რეჟ. ს. ახმეტელი)

1924 წლის 20 ნოემბერს - შექსპირის „უინძორელი მხიარული ქალები“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი).

კომპოზიტორი თ. ვახტახიშვილი.

დასახელებული რეპერტუარიდან თერთმეტზე მეტი სპექტაკლის მხატვრობა ეკუთხის ვ. სიდამონ-ერისთავს. ირ. გამრეველი მოგვიანებით გამოხნდა თეატრში, რომელმაც შემდგომ უდიდესი როლი შეასრულა ახალი თეატრის ესთეტიკური პრინციპების ფორმირებაში, მაგრამ ვ. სიდამონ-ერისთავი გარდამავალი პერიოდის თეატრის ისტორიული პროცესის ერთ-ერთი უპირველესი მონაწილე იყო. მისმა მხატვრობამ თეატრის სცენოგრაფიას მისცა მაღალი პროფესიული კულტურა, იგი წარმოადგენდა თეატრის დეკორატიული მხატვრობის ახალ ეტაპს.

წარმოადგენილი რეპერტუარიდან კარგად ჩანს, რომ თეატრს არა აქვს გამოკვეთილი თავისი სახე. მისი ძიებები სრულიად საპირისპიროა, კონგლომერატულია არამარტო რეპერტუარი, არამედ თეატრის მხატვრული ძიებებიც. აქ საქმე არ ეხება იმას, რომ თეატრს ჯერ კიდევ შეუძლია რაც მას სურს ის დადგას. არ იყრძნობა თავისუფლების შეზღუდვა, ჯერ არც უშუალოდ თანამდებობის გამომხატველი ახალი პიესებია შექმნილი. ნატურალისტური ტენდენციების სპექტაკლების („სამანიშვილის დედინაცვალი“) გვერდით იდგმება ექსპრესიონისტული (ე. ტოლერის „კუცი-მასა“), კ. კაიზერის „გაზი“ სიმბოლისტური („ლატავრა“), ყოფითი რეალისტური („გაყრა“, „მზის დაბნელება საქართველოში“). წარმოადგენების სტილითა და უართა მრავალსახეობა იძლევა მსახიობთა შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია სარეპერტუარო თავისუფლება. ჯერ არ იყრძნობა იდეოლოგიური ზეწოლა. მაგრამ რით აიხსნება ამგვარი სიტუაცია? ამაში არის ბოლშევიკების გულწრფელი სურვილი აალორიზმონ ხელოვნება თუ პოლიტიკური ტაქტიკა? პასუხი როგორიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ თვით ცხოვრებაში, უპირველესად კი პარტიულ აზროვნებაში დიდი შინაგანი წინააღმდეგობაა. პასუხიც არ შეიძლება ერთნიშნა იყოს. ჯერ არ არის

ტოტალიტარიზმი, არ არის „აბსოლუტური მონარქი“...

ბოლშევიკების პარტიას არა აქვს გამოკვეთილი იდეოლოგიური ხაზი ნაციონალური კულტურის მიმართ. მით უფრო ისეთი ქვეუნის მიმართ, როგორიც საქართველოა. დიდი პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ საკითხი დგება თუ რა გზებით, რა ხერხებით გადაიქცეს თეატრი იდეოლოგიური ზემოქმედების კერად ამასთანავე, დღის წესრიგში იდგა ხალხის განათლების, კულტურის უფართოესი საკითხები. მეფის რუსეთის წინაშე უპირატესობის დამტკიცების ამოცანები.

1921 წლის 22 ნოემბერს პოლიტიკურობ დაადგინა, რომ პარტია დაქმარებოდა პოლეტკულტელებს.

1923 წლის 26 ოქტომბერს გადაწყდა სამხატვრო თეატრის იუბილის საკითხი. ამავე წელს კ. სტანისლავსკის და ნემიროვიჩ-დაბჩენკოს მიენიჭათ სახალხო არტისტის წოდება.

თეატრებს გამოეყოთ სახელმწიფოსაგან სუბსიდია.

1924 წლის 24 თებერვალს მიღებული იქნა გადაწყვეტილება „რეპერტუარის ფორმირების შესახებ“. აღინიშნა ცენზურის ანუ კონტროლირების სამი საფეხური, რის შემდეგაც შეიძლებოდა პიესის დადგმა.

1925 წლის 15 მაისს ვს. მეექრხოლდის თეატრის რევოლუციური, ექსპერიმენტული მუშაობის გასაგრძელებლად გამოიყო სპეციალური თანხები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა თეატრის „რევოლუციური თეატრის“ ბრძოლას ახალი სცენიური ფორმების დამკვიდრებისათვის“. ამავე წლის 19 სექტემბერს ა. ლუნაჩარსკიმ ჩამოაყალიბა „საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი თეატრალური პოლიტიკა“, სადაც განსაზღვრულია პარტიის როლი ახალი კულტურის ფორმირებაში. ა. ლუნაჩარსკი აფრთხილებდა პროლეტკულტელებს, რომ არ დაწერიათ ტრადიციები, ძველი თეატრის მიღწევები. საჭიროა გამოვიყენოთ წარსულის ძვირფასი ფორმები“ - წერდა იგი. როცა ავაყენავებთ საბჭოთა კულტურას, უნდა შეგვეძლოს თემა, რომ ჩვენ არ დაუშვით დიდი შეცდომებით.

მაგრამ ეს ხდება უკვე 1925 წელს. მანამდე კი ქართული თეატრი გაივლის ურთულეს გზას.

1921-1924 წლები ქართული თეატრისათვის ახალი ტიპის, თანამოაზრეთა თეატრის შექმნისათვის ბრძოლის გზაა, სწორედ „დურუჯი“ იქცევა თანამოაზრეთა თეატრის ციტადელად.

1924 წლის 29 იანვარს „დურუჯის“ საფუძველზე თეატრში ხდება გადატრიალება. ამ გადატრიალების ერთ-ერთი იდეოლოგი ს. ახმეტელია.

1924 წლს საქართველოში ხდება აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

აჯანყებაში მონაწილეობს ს. ახმეტელი.

1924 წლის იანვარში ლენინის გარდაცვალების გრანდიოზულ სამგლოვიარო სანახაობას ხელმძღვანელობს კ. მარჯანიშვილი.

სამგლოვიარო დემონსტრაციაში მონაწილეობენ „ათასები...“ მარჯანიშვილი დღეს სულით და გულით ჩვენთან არის - წერს გაზეთი, ასევე მათთან არიან პოეტები, მსახიობები, კულტურის მუშაკები...

ეს ისტორიული რეალობაა.

მაგრამ არის სხვა რეალობაც.

აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის ს. ზალდასტანიშვილის წიგნში „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“ ნათლად ჩანს, თუ რა ხდებოდა იმუამად საქართველოში. ეს არის სარკე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა მისი ანგესის შემდეგ, 1924 წლის აჯანყებამდე. გ. შარაძის აზრით: „ს. ზალდასტანიშვილი 1924 წლის აჯანყების შესახებ დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, სანდო და რაც მთავარია, გვერდაუვლელი შრომის ავტორია“²¹².

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1922 წლის ზაფხულში „ხალხში უკუმაყოფილება გაძლიერდა. აქა-იქ პატარა გამოსვლებიც მოხდა. ზოგი პროვინციები საერთოდ გამოსვლებს თხოულობდნენ, ქაქუცას, რომელიც გასული იყო თავისი რაზმით ტყეში და სამხედრო ცენტრიდან განკარგულებებს ელოდა, ხევსურები ძალას ატანდნენ და თხოულობდნენ რუსებთან ბრძოლა დაეწყო“²¹³. აგვისტოში მაინც მოხდა აჯანყება. გამოვიდა კახეთი და ხევსურეთი. ბოლშევკებმა აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ დაძაბულობა გრძელდებოდა.



ტ. რამიშვილი

1923 წლიდან პარტიულებმა „ხელახლა გააჩაღეს მუშაობა და მთელ საქართველოში მას მისცეს ორგანიზაციული ხასიათი“. მთავრობა ექტრა კახეთ-ხევსურეთის აჯანყების მეთაურებს. სამწუხაროდ და ჩვენდა საუბედუროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთმა ქართველმა გასცა ისინი. „1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბიშვილმა გასცა მთელი შემადგენლობა სამხედრო ცენტრისა“ (ს. ზალდასტანიშვილი). იმავე წლის 19 მაისს დახვრეტილი იქნება: „1. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გენ. კ. აფხაზი, 2. გენერალური შტაბის წევრი, გენ. ა. ანდრონიკაშვილი, გენერალი კ. წულუკიძე და სხვა ოფიცირები. სულ 15 სამხედრო პირი.

ეს იყო ტრაგედია!

ამის შემდეგ უფრო გაძლიერდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. „აჯანყება უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში ერთ დღეს, ერთ საათს, უეცრივ და შეუჩერებლად უნდა ემოქმედოთ, სანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა“²¹⁴.

აჯანყება დამარცხდა!

საესპიტ სწორია ს. ზალდასტანიშვილისული შეფასება: „მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში მომზდარი აჯანყებები დამარცხდნენ, რადგან აჯანყებას კუთხეური ხასიათი ჰქონდა. რუსის მთავრობას ასეთი ამბოხების ჩაქრობა ეადგილებოდა.

მეოცე საუკუნეში საქართველო უკვე გაერთიანებული იყო, მაგრამ „ხალხის მთლიანობას ასუსტებდნენ და არღვევდნენ არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. დაარსებული ერთი მეორის საწინააღმდეგოდ, აგებულნი დოქტრინებზე, კლასთა ქიშპობაზე და სიძულვილზე“.

გადაწყვეტილი იყო ქართული ეროვნული აჯანყების მოწყობა, „მაგრამ საერთო მუშაობის დროს ვიწრო პარტიული ინტერესები სჭარბობდნენ საერთო ეროვნულზე“.

ამ ასეთი ცხოვრების ფონზე მიმდინარეობს თეატრის გარდაქმნის უმძიმესი პროცესი.

თეატრში კი ვინ იყვნენ?

ა. წუწუნავა - მენტევიკური მთავრობის ყოფილი კომისარი, კ. მარჯანიშვილი, შემდეგში „ბურუუაზიულ ქსოვეტად“ მონათლული, ს. ახმეტელის შესახებ კი ლ. ბერია თავის საიდუმლო წერილში (1930), რომელსაც იგი მოსკოვს უგზავნის, რათა უარი ეთქვას

რუსთაველის თეატრის საზღვარგარეთ გასტროლებზე, წერს: „ა. ახმეტელი ალექსანდრე ვასილის-ძე - თეატრის დირექტორი, საქართველოს მთავრობის დამფუძნებელი კრების წევრი, 1923-დან 1924 წლამდე იგი წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატთა ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარეს, ერთდროულად იყო ამავე ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1923 წელს „სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრების დროს მიეცა პასუხისგებაში, როგორც „სამხედრო ცენტრის“ აქტიური მონაწილე. 1924 წლიდან ახმეტელი ხელმძღვანელობს არალეგალურ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „დურუჯას“ თეატრის შიგნით. ახმეტელი დევნის თეატრის თანამშრომელ კომუნისტებს, ეწევა მირგამომთხრელ საქმიანობას პარტიგოლის წინააღმდეგ.“

2. ხორავა აკაკი ალექსანდრეს-ძე - სენაკის მაზრაში განლაგებული მენშევიკური გვარიის შტაბის ყოფილი უფროსი. 1923 წელს დაპატიმრებული იქნა საქართველოს საგანგებო კომიტეტის (ჩე) მიერ ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის, როგორც მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, იგი კორპორაცია „დურუჯას“ აქტიური წევრია.

მსახიობთა შორის 12 ადამიანი, რომლებიც წამყან როლებს თამაშობენ კორპორაცია „დურუჯას“ აქტიური წევრებია. 1924 წლიდან ეწევიან ანტისაბჭოთა საქმიანობას“.

ჩამოთვლილია თორმეტივე წევრი: ა. გასაძე, დ. მეუავა, პ. კორიშელი, ი. ქანთარია, ი. ლალიძე, ე. აფხაძე, ე. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, პ. კანდელაკი, მ. ლორთქიფანიძე, გ. დავითშვილი, ი. პატარიძე.

ჩე-ს მიერ ყველანი აყანილნი იყვნენ „ფორმულირებულ აღრიცხვაზე, როგორც ანტისაბჭოთა პარტიიდან გადმოსულნი“. მათ შორის ოთხი დახვრტილი იქნა 1937 წელს!

დაახლოებით ასეთივე პოლიტიკურ კონტექსტში იკითხებოდა მსახიობთა ის ნაწილიც, რომლებიც 1930 წლისათვის რუსთაველის თეატრში აღარ იყვნენ, მაგრამ 1922-1924 წლებში თეატრის უზრიშენელოვანებს ძალას წარმოადგენდნენ.

ამრიგად ქართული თეატრი მაშინდელი პოლიტიკური პროცესებისაგან არ არის დაშორებული. იგი თანამდგომია და უშეულო მონაწილეა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა. მათ შორის ს. ახმეტელს 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით სიკედლიც მიესავა, მაგრამ კ. მარჯანიშვილისა და სხვათა დახმარებით გადარჩა.

მაშასადამე, დასტურდება სუკ-ის აზრი იმის შესახებ, რომ ახმეტელი მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებაში.

მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული განცხადება ნიშნავდა კი იმას, რომ მან იმ პერიოდში მთლად გაწყვიტა კავშირი ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან?? როგორც 1924 წლის აჯანყების მასალებიდან ჩანს, - არ გაუწყვეტია კავშირი.

3. ინგორუმუკამ ძალიან ზუსტად და ოსტატურად (როგორც მას სჩვეოდა) გამოხატა იმჟამინდელი ინტელიგენციის საერთო განწყობილება. „ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეში ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახლად შექმნილ პირობებში! თუ, ერთის შერივ, ის სოციალური იდეები, რომლის გამომხატველადაც გამოიდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს შერივ, უნებლივედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის პრინციპები მისდა უნებურად ვერ მიღებდნენ სრულს განხორციელებას, რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გადაიხრებოდა საქართველოს საზანოდ, რომ რუსული ენა სტიქიურად დაჩაგრავდა ქართულს, რომ რუსული წიგნი თანდათან დაჩრდილავდა ქართულს, ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ სტიქიურ პროცესს, რომელსაც უნებლივედ ხელს შეუწყობდა ობიექტური პირობები.

ეს მერყეობა და უნდობლივის გრძნობა ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებში ადვილი ასახსნელია. მას ნიადაგს აძლევდა ისტორიული რემინიცენციები. იგი იყო გამოძახილი იმ ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველოს იმპერიალისტური რუსეთის ხელში. ამასთან შემს, რომ დიდი მასშტაბის რუსეთის კულტურა დაჩაგრავდა ქართულს, იყო ბუნებრივი ყოველგვარი შოვინისტური ტენდენციების გარეშე“.

ამ დიდობმატიურად კარგად გააზრებულ წერილში დანახულია ბოლშევიკური რუსეთის ხელში მოსალოდნელი საშიშროება, მაგრამ ისიც კარგად ჩანს, თუ რა ატმოსფერო იყო ანექსის პირველ წლებში.

საგულისხმო და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, როცა დიდი ეროვნული აჯანყების სამზადისის პარალელურად თეატრშიც მიმდინარეობს მზადება თეატრალურ აჯანყებისათვის, რომელიც გაფორმ-

დება „დურუჯის“ სახით. იმდენად ღრმა იყო ქაოტურობის, წინააღმდეგობრიობის, გაორების, დაბნეულობის განწყობილება, რომ მან მოიცავ ყველა სფერო. განსაკუთრებით ზუსტად აირეკლა იგი თეატრში.

თ. გახვახიშვილს თავის დღიურში ჩაუწერია; „1923 წლის 26 იანვარი, მარჯანიშვილს არავერი არ მოსწონს, რაც თეატრში კეთდება. ყველაფერზე ნერვიულობს, ისიც თქვა, მოვხსნათ ეს სპექტაკლები და ბრნეფისებიც გავაუქმოთ“²¹⁵.

როგორც თეატრის რეპერტუარიდან დაგინახეთ, მარტო 1923 წელს 16 პიესა დაიდგა. პრემიერები გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ, ზოგჯერ კვირაში ერთხელაც. მუშაობის ასეთი სისტემა თუ გასაგები იყო მე-19 საუკუნის ქართულ თეატრში, მეოცე საუკუნის ოციან წლებისათვის, - კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის მოღვაწეობისათვის უკვე გაუგებარი იყო. ამიტომ გასაგებია თ. გახვახიშვილის ჩანაწერიდან მარჯანიშვილის სიტყვები: „სირცხვილია, ხალხს შეატყურ ყოველგვრი მაიმუნობა, თანაც საძაგლად შესრულებული“. თუ თანამედროვე პიესები არ გვაქვს, „კლასიკოსები დავდგათ. კლასიკოსები მუდამ სათავეში უდგანან რევოლუციას“. ა. გასაძის აზრით, „ცვრის წყარის“ დადგმით მარჯანიშვილმა „პრაქტიკულად დაგვანახა მაშინდელ სცენაზე გაბატონებული რეპერტუარის უვარგისობა, სადაც ოჯახური უთანხმოებანი და აყალბაყალი სწევდნენ ნამდვილი ტრაგიული კონფლიქტის მაგივრობას“. (216).

თ. გახვახიშვილის ჩანაწერების მიხედვით, დიდი სანახაობითი ზემი იყო „მზის დაბნელება საქართველოში“. წარმატება ხვდა „მასკოტას“, „ინტერესთა თამაშს“. 1923 წლის 27 სექტემბერი. თეატრში საშინელი განწყობა. მარჯანიშვილს ნადვილი რქება მოუწყოა. რეპერტუარიდან ამოაგდო ყველა ძეველი პიესა“ - წერს თ. გახვახიშვილი.

ისევ დღიურიდან: „გუშინ გაიხსნა სეზონი - გაიმართა გრერისთავის „გაყრის“ პრემიერა. სპექტაკლმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია“, და შემდეგ: „დღეს დიდი წარმატებით გაიმართა „გმირის“ პრემიერა“. ეს უკვე 15 ნოემბრის ჩანაწერი.

„ახალი წელი საუცხოო სპექტაკლით აღვნიშნეთ“. გუშინ გაიმართა ქართული თეატრის საიუბილეო დღე და „გაზაზნაურებული მდაბიოს“ პრემიერა, დარბაზში ტაში და გაშა არ წყდებოდა“.

რესთაველის თეატრის 1922-1924 წლების პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და ისტორიულად მნიშვნელოვანი ეპოქაა. „ცხვრის წყაროდან“ „დურუჯამდე“ საოცარი გზა გაიარა თეატრმა. გზა იყო უმოკლესი და ურთულესი. ტრაგიული მოვლენების ფონზე ფორმირდებოდა ახალი თეატრი. ამ წლებში გამოიკვეთა ძველი თაობის რეჟისურის თეატრიდან წასვლის კანონზომიერებაც და „დურუჯის“ ჩამოყალიბების აუცილებლობაც.

რეჟისურის განვითარება თანდათან იძლეოდა საფუძველს გველაპარაკა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა გარკვეულ გავლენებზე. გერმანიიდან დაბრუნებული გრ. რობაქიძის, კ. გამსახურდიას, ღრმად განათლებული არ. ჯორჯაძის, ი. გომართელის, ალ. წულუკიძის და სხვების ნააზრევში თავისებურად ირეკლება XX საუკუნის ათიანი წლების ფილოსოფიური ტერდენციები. საქართველოში არ ჩამოყალიბებულა ახალი მიმდინარეობანი, მაგრამ პროცესი და ტერდენცია კი უთუოდ იგრძნობა. შემთხვევით არ არის თეატრისა და დრამატურგიაში მოდერნისტული ძიებები. განსაკუთრებით საგულისხმოა არ. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია, მან ეროვნული ერთიანობის იდეოლოგია მაღლა დააყენა კლასიბრივ ბრძოლაზე. თეატრისათვის ეს იმას ნიშნავდა, რომ მას უნდა ებრძოლა ერის სულიერი გამთლიანებისათვის. ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის ბრძოლა მიაჩნდა სხვადასხვა კლასისა თუ პარტიის ადამიანთა შინაგანი გაერთიანების აუცილებელ პირობად.

თეატრის ქსეტიური კრიტიკო-უმების ამაღლება დაკავშირებული იყო სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლასთან. ექსპრესიონისტულ-სიმბოლისტური დრამატურგია თავის თეორიულ დასაბუთებას პოულობდა და მას ჰყავდა თავისი დამცველები. ამ მიზნით იბჭყდება კ. გამსახურდიას და გ. რობაქიძის წერილები.

1923 წელს კ. გამსახურდია აქვეზნებს წერილებს „თეატრი და ექსპრესიონიზმი“, „რაინპარტი“, ძველი ბერძენი და რომაელი, „უმეტესად ყურით



ალ.იმედაშვილი

ისმენდა დრამას“, თანამედროვე თეატრში იგი „მომეტებულად მზერით ღებულობს ემოციებს“, მაგრამ ყველაზე მაღლა დგას რეჟისორი“.

რეჟისორის თეატრისათვის ბრძოლა თეატრის გარკვეულ მსოფლიმედველობრივ საფუძვლების დამკადრებისათვის ბრძოლაც არის. რეჟისურის თეატრი პოზიციისა და მსოფლმხედველობის, ესთეტიკური მრწამსის თეატრია. თუ ძველ თეატრში „ყველა ერთი-სათვის“ ანუ მსახიობ ლიდერისათვის იღვწოდა და იქმნებოდა „კერძო სკულპტორთა თეატრი, „დურუჯის დევიზია „ყველა ერთი-სათვის“ - და ერთი ყველასათვის“. არსებითად არამარტო თანამოაზროების პრინციპია გამხელილი, არამედ რეჟისორისა და დასის ურთიერთმიმართების პრობლემაც.

სავსებით გასაგებია და ისტორიულად სამართლიანიც არის, რომ ამეტელი ახალი თეატრის ესთეტიკის საფუძვლების ძიებას „დურუჯის“ შექმნას უკავშირებს.

„დურუჯამდე“ ლიტერატურაში უკვე მოქმედებდა „ცისფერყანწელთა“ სკოლა. მათ უცებ მონახეს საერთო ენა, თუმცა „ცისფერყანწელების“ წარმოქმნის პოლიტიკური ფონი სრულიად განსხვავებული იყო. იგი შეიქმნა 1916 წელს. სწორედ აქედან მოყოლებული, ყოველი წელი საოცრად თავისებურია და დრო მეტად ცვალებადი. ზედიზედ იცვლება პოლიტიკური მოვლენები, რევოლუციური ქარიშბალი ტრიალებს მთელ იმპერიაში. ქართულმა თეატრმა თითქოს ცოტათი დაიგვიანა კიდეც, რადგან რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ რეფორმატულ მოძრაობას დიდი და ღრმა კვალი ჰქონდა გასავლელი. ყველაფერი თბილისში ხდება, თბილისი იქცა სულიერი კულტურის ცენტრად. „ცისფერყანწელების ორდენი“ კი ქუთასიში შეიქმნა და თბილისში გადმოვიდნენ.

უნდა შევახსნო მკითხველს, რომ 1922 წლისათვის თბილისში ქართველი 35%-ს შეადგენდა. ყოველი სამი თბილისელიდან ორი არაქართველი იყო. სულ რაღაც ოცდახუთი წლით ადრე კი თბილისში 22 ათასი ქართველი ყოფილა. რუსი 20 ათასი, სომეხი 37 ათასი, თათარი ორი ათასი, გერმანელი ორი ათასი.

„მოდით და გული ნუ დაგეწვით მწუხარებით ამისთანა ამბების გაგონებისაგან“ - წერდა ილია.

თბილისში 25 წლიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართველთა რიცხვი. ამ მდგომარეობას არ შეიძლებოდა თავისი ასახვა არ

ეპოვა კულტურაშიც. თბილისი საოცარი ძალით ისწრაფოდა სულიერი ლიდერობისაკენ და ასცე ხდება. ამ პერიოდში ქართული თეატრი მეთაურობს ამ პრიცესს. ქართული მწერლობა გვერდში უდგას და თავის ისტორიულ მისიას არ ღალატობს, მაგრამ უკვე სხვა დროა, თეატრს გამოუჩნდა ლიდერი კოტე მარჯანიშვილი. მზად-დება ნიადაგი კოლექტური ლიდერობისათვის, რომელიც ორგანიზებული ფორმით ყალიბდება „დურუჯის“ სახით.

ახლის ძიებათ სირთულე და კრიზისი იყო პოლიტიკაშიც, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროშიც.

თითქოს რა კრიზისზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა პოეზიაში „მეცედ იჯდ“ გალაკტიონ ტაბიძე, ხოლო თეატრში კოტე მარჯანიშვილის „ცხერის წყარო“ იყო დადგმული. დღეს, როცა ის მოვლენები უკვე ისტორიას ეკუთხნის, როცა ყველაფერი განათდა, გაირკა, რომ დრომ თავისი ადგილი მოუქინა ყოველ მათგანს, ადვილია მათ შეცდომებზე ლაპარაკი, მაგრამ მაშინ ხომ ასე ნათელი არ იყო ყველაფერი? მძაფრ კლასობრივ ბრძოლაში, ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ისახებოდა და ფორმირდებოდა ახალი ლიტერატურული და თეატრალური ტენდენციები. იმდენად ძლიერი იყო ახლის დამკითხვების პათოსი, რომ ახალგაზრდობა ხშირად ძველისადმი ზედმეტად კრიტიკულიც იყო.

ცისფერყანწელების და დურუჯელების პირად მევობრულ კონტაქტებს უთუოდ ესთეტიკური ხასიათის პრინციპებიც ედო საფუძვლად. ცისფერყანწელები ლიტერატურაში ანახლებდნენ პოეტურ ლექსიკას. იგივეს ქართველობის დურუჯელებიც თეატრში. სპეციფიკური იყო შემოქმედებითი და ორგანიზაციული პრინციპები, გამოხატვის საშუალებები, მაგრამ საერთოც ბევრი ჰქონდათ. ეს იყო მოდერნიზაციის ეპოქა.

ცისფერყანწელებს გამოსვლა მოუხდათ რთულ ისტორიულ პირობებში: მსოფლიო ომის ატმოსფერო, საქართველოში წარმოქმნილი მრავალპარტიული ცხოვრება, სხვადასხვა დაჯგუფებათა მომრავლება, განსხვავებულ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა გაქტიურება, ურბანიზაციის პროცესი, კულტურულ ურთიერთობათა გაფართოება თავის გამოხატვის პოულობდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რადგან „ყოველი თვალსაჩინო სოციალური ცვლილება თავის ელფერს დებს გონიერი მოძრაობას, რის გამო ლიტერატურაც ფერს იცვლის, ახალ მიმართულებას ადგება“ (ა.

წულუკიძე).

წინააღმდეგობათა რთულმა განშტოებებმა მოიცვა არა მხოლოდ სოციალური ფენები, არამედ ფარულსა თუ აშეარა კონფლიქტში მოექცა საზოგადოების კულტა წევრი. ერთის რღვევისა და მეორის წარმოქმნის რთული პროცესი საქართველოში ხდებოდა მეტად სპეციფიკურ პირობებში.

1916 წლის გაზაფხულზე ქუთაისში გამოდის უურნალი „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი. ლიტერატურული დაჯგუფება აშეარა და გამოხატავს თავის სიმპათიას სიმბოლიზმისადმი. უფრო მეტიც - იგი ცდილობს მის დანერგვას. მათ პოეტურ სამყაროში ჩნდებიან ფრანგი სიმბოლისტების: ვერლენისა და ბოლერის, რემბოსა და მალარმეს სახელები. „ცისფერყანწელები“ მათ „თავიანთ სულიერ ძმებად აცხადებენ მანიფესტში“ (მ. აბულაძე).

1916 წელს იწერება ს. შანშიაშვილის ექსპრესიონისტური დრამა „ბერდო ზმანია“, რომელსაც ოთხი წლის შემდეგ დადგამს „დურუვების“ ლიდერი სანდრო ახმეტელი.

1919 წელს იწერება პ. კაკაბაძის სიმბოლისტური პიესა „სამი ასული“, იწერება პატარა მოთხოვობები, ნოველები, ეტიუდები...

რეჟისორი აკაკი ფალავა „ცისფერ ყანწები“ ბეჭდავს წერილს „ჩემი სურვილი“. წერილში საუბარია თეატრის მძიმე მდგომარეობაზე. საუბრის ტონი კატეგორიულია. აკაკი ფალავას მიაჩნია, რომ ძველი თეატრი კვდება, ახალი კი ჯერ არ ჩანს ფესვმოდგმული. იგივე აზრი იმეორებს 1919 წელს: „ძველი თეატრი, თუმცა დამსახურებული და ნაამაგარი, მაინც კვდება“; „ძველმა უნდა განისვენოს, როგორც დრომომჭმულმა“. მეაცრი და უკომპრომისოა ახალგაზრდა სანდრო ახმეტელის გამოსვლები ამ წლებში. ძველი თეატრის კრიტიკა თეატრის თვით არსის განახლების იდეით არის განპირობებული, რევოლუციამდელი ქართული თეატრის ახმეტელისეული კრიტიკა ცისფერყანწელთა გამოსვლის პარალელურად ხდება. მათ ნააზრევში არის შემხვედრი წერტილები, ერთიანი კრიტიკული პოზიცია. ისინი ცდილობენ ერთმანეთს შეუხამონ კლასიკოსთა ღვაწლის დაფასება და სრული გარდატეხის, ახლებური აზროვნების მოთხოვნილება.

„ცისფერი ყანწების“ ირგვლივ შემოიკრიბნენ მწერლები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გ. რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შემდეგ მათ შეუერთდათ გიორგი ლეონიძე, რაუდენ გვეტაძე, შალვა აფხაძე, ნიკოლოზ მიწიშვილი და სხვები.

გააჩაღეს უკომპრომისო ბრძოლა შეტამბების წინააღმდეგ. მაშინ სანდრო ახმეტელი წერდა: „მე ვნახე ქართველი მსახიობი, რომელმაც ხუთმოქმედებიან დრამაში და ისიც უმთავრეს როლში მხოლოდ მოძრაობის 6 სახე, ფორმა გვიჩვენა. მე თავს ვიკავებ და არას ვამბობ პლასტიკაზე, რადგან იგი ნაკლებად ან სრულებით არ გააჩნიათ მსახიობთ. მე ვიცნობ მეორეს, რომელსაც მხოლოდ 3 ფორმა აქვს გაზეპირებული. ეს აუწერელი სიღატაკეა მსახიობისა“. ერთსახოვნების, შეტამბების წინააღმდეგ ბრძოლა ახმეტელის ახალი თეატრალურ-ესთეტიკური პრინციპებისათვის ბრძოლის ნაწილია. პლასტიკის, რიტმის, სიმღერისა და ცეკვის სინთეზირების, წარმოდგენის სხვადასხვა კომპონენტების ორგანული შერწყმის აუცილებლობა აქ გლობალიზდება და ქართული თეატრისათვის უჩვეულო, თვისობრივად ახალ, რთულ სინთეტურ მოვლენას წარმოგვიდგება, იცვლება თვით პრინციპი იმისა, რომ სცენაზე დიდი მსახიობები „კერძო სკულპტორებივით“ დგანან, ხოლო „თვით დრამა, უმთავრესი ძალვი მოქმედება, სრულებით არ ჩანს“. ახმეტელი ღრმად იზიარებს რა თეატრში მიმდინარე პროცესების ყველა ასპექტს, მოზიარებული ხედება თავის პირველ სპექტაკლს დრამაში „ბერდო ზმანია“. აქ ერთიანდება მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, გამოჩენა მსახიობთა პლასტიკა, მხატვრობა, „ბერდო ზმანია“ ეფექტურია. პიესას თან ახლავს კომპოზიტორ არაყიშვილის მუსიკა, ორიგინალური და ძალიან კარგია ბალეტი, ქორო, სიმღერა... დეკორაცია უმაღლეს დონემდე ორიგინალური და სტილურია“. ასე რომ, „სასიმღერო-საცეკვო კულტურის ფორმების აღდგნის გზით, ახმეტელი მიერთა სპექტაკლის იდეურ-ესთეტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით, მათი გარდასახვის აუცილებლობის შეგნებამდე“²⁷.

სიმბოლისტური „ბერდო ზმანია“ დადგმა (1920), ერთი წლით ადრე გ. ჯაბადარის მიერ სტუდიაში წარმოდგენილი ე. ბრიეს „სარწმუნოება“, ლ. უკის „ვითარ ფოთლები“ სხვადასხვა სტილის, ტერდენციის სპექტაკლები იყო, მაგრამ მათ აერთიანებდათ თეატრის განახლებისაც სწრაფება.

მოვლენები, რომლებიც ამ პერიოდის თეატრში ხდება, დაკავშირებული საერთოდ ქართულ მწერლობასთან. ჩვენ აქ მიგანიშნებთ ცალკეულ მოვლენებზე, სადაც ისინი ხვდებიან ერთმანეთს. შემცველი წერტილები კი უთუოდ არის.

ცისფერყანწელები თავიანთი პოზიციის სიმწვავეს ქართული ლიტერატურის ისტორიული გამოცდილებითაც ამართლებდნენ. ამავე

მოტივით ისინი „დურუჯის“ მანიფესტის კადნიერ ტონსაც კი უჭირდნენ მხარს. ტიკიან ტაბიძე, ცისფერყაონწელთა ერთ-ერთი ლიდერი, 1924 წელს „დურუჯის“ მანიფესტთან დაკავშირებით წერდა: „ერთხელ გრიგოლ ორბელიანსაც ევონა, რომ იღლია ჭავ-ჭავაძე ანგრივედა საქართველოს, მაგრამ ის ნოვატორად დარჩა, ქართველების დაუჩრდილავ კოლოსად“.

1917 წელს სანდრო ახმეტელი წერდა: „ჩვენმა მსახიობებმა ნუთუ მუდამ მხოლოდ ერთი ადგილი უნდა ტეკინონ, მუდამ გაკაფულ გზაზე იარონ და ახალი ვერაფერი შექმნან“.

და ამას წერს იგი იმ პერიოდში, როცა ჯერ ისევ ცოცხალი იყვნენ: ლადო მექშიშვილი, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა, ვალერი-ან გუნია, ნუცა ჩხეიძე და სხვები. ქართული სცენის ოსტატების გამონათებები საკმარისი არ აღმოჩნდა თეატრის განახლებისათვის.

ცისფერყაონწელებს მიაჩნდათ, რომ ხალასი პოეტური ხმა იკარგებოდა უგემოვნების ზღვაში. ასევე ფიქრობდნენ დურუჯელებიც.

ორივე დაჯგუფებამ უკომპრომისოდ შეუტია ძევლს. მანიფესტები იყო პათეტიკური, რიხანი, კადნიერი, ახალგაზრდულად გულწრფელი და ჭაბუკურად მგზნებარე „უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვტაცეთ ძეირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში“. კ. ნადირაძეს მიაჩნდა, რომ ცისფერყაონწელების უკომპრომისო გამოსვლა, ისტორიულად ბუნებრივი რეაქცია იყო: „ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება - გვებრძოლა მოზღვავებული „პოშლიაკობის“ წინააღმდეგ, გვწამდა, რომ არსებითად სწორ გზას ვადექით, რომ ქართული ლექსის ფორმა და მისი აღნაგობა დაკინებას განიცდიდა, რომ აკაისტური წყობა გადაიქცა შტაბპად, შაბლონად, რომ აკაის ეპიგონებმა დაუკარგეს ქართულ ლექსს სილამაზე და უღრადობა, გაუბრალოეს და დააყრის იყო“.

დურუჯელების მანიფესტიც კადნიერი, ჭაბუკურად გულწრფელი და უკომპრომისო იყო.

დურუჯი იმთავითვე საბჭოთა ხელოვნების პოზიციაზე დადგა. რევოლუციური გარდაქმნების იდეა, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა, ობიექტურად ხელს უწყობდა ახალი თეატრის შემოქმედებით და ორგანიზაციული საფუძვლების განმტკიცებას, ახალი მსახიობის აღზრდას. თეატრის საზოგადოებრივი როლის ამაღლებას და სხვა მრავალ სიკეთეს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული საბჭოთა თეატრის ფორმირების პროცესში,

პოზიცია, რომელიც მას ძველი თეატრის მიმართ ეკავა, გამოწვეული იყო ახალი თეატრების შექმნის სურვილით. მათ ჯერ არ იცოდნენ ძევლის ახალთან შერწყმის ხელოვნება. თვით დროის სულისკვეთებასც აძლევდა იმპულსს, ეძნათ უფრო რადიკალური ფორმები, არ დაუშეათ რამე კომპრომისები. ტიკიან ტაბიძე იცავდა რა „დურუჯის“ პოზიციას, წერდა: „შინაარსით კორპორაცია დურუჯი აყრნებს ახალი თეატრის პრობლემას. არ შეიძლება ახალის გაკეთება, თუ ძევლს არ ეთქვა უარი“.. და შემდეგ: „ჩვენ „ცისფერყაონწელებმა“ პირველად შემოვიდეთ „არშინ-მალ-ალანის“ წარმოდგენის დანგრევა. აქაც და პროვინციაშიც ჩვენ ვიცავდით ვასო აბაშიძის და ტასო აბაშიძის არტისტულ ღირსებას. ეს ჩვენი ესთეტიკური და ეროვნული სიამაყის მოთხოვნილება იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ ასეთი ოსტატები არ უნდა წასულიყვნენ ასეთ აღმოსავლების ნალექ ბალაგანში“.

ტიკიან ტაბიძე ვეროპული თეატრის ორიენტაციის იცავს. არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი. „ცისფერყაონწელები“ ხომ ასე აღმერთებდნენ ფრანგ პოეტებს, „არშინ-მალ-ალანის“ დადგმის წინააღმდეგ გამოვიდნენ „დურუჯელებიც“ ახმეტელის მეთაურობით. ორივე დაჯგუფების ეს ერთობლივი და საქართველოული პოზიცია აიხსნება კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციით. იმამად მართლაც ისე მოღურად იყო გავრცელებული ყველგან „არშინ-მალ-ალანის“ და აღმოსავლური სიმღრეები, რომ ცისფერყაონწელებიცა და დურუჯელებიც მას ვეროპებიზმის საპირისპირო მოვლენად მიიჩნევდნენ. ეს კი ეწინააღმდეგებოდა მათ მოქალაქეობრივ და მხატვრულ პოზიციას. კოტე მარჯანიშვილი კი, რომელიც აქტიურად უჭირდა მხარს დურუჯის გამოსვლას და თავისი უზარმაზარი შემოქმედებით სტილურ მრავალფეროვნებას ამჟღიდობდა, არავითარ საფრთხეს არ ხედავდა „არშინ-მალ-ალანის“ დადგმაში.

ტიკიან ტაბიძე „ცისფერყაონწელებს“ მიიჩნევდა როგორც სიმბოლისტურ სკულპტა. ამ აზრს სკულპტად გარკვევით უპირისპირდებოდა მეორე აზრი: „ჩვენში სიმბოლიზმს ადგილი არა აქვს. ეს ძალით გადმოტანილი, ავადმყოფური სული, განდიდების სურვილის ნაყოფია, სიმბოლიზმი, როგორც შეკლა, არ შეიძლება, რომ ჩვენში დამკვიდრდეს. მას არა აქვს ამისათვის შესაფერისი ნიადაგი“. ამ განსხვავებულ პოზიციებს თავიანთი საფუძველიც ჰქონდა. ტიკიან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ღრმად ეროვნული სულის, სიცოცხლით საქართველოსა და კუნძულისა განვითარება აზროვნება

მოდერნისტული გატაცებების ზედაპირზე დარჩა, იგი არ შეეხო მის სიღრმეებს, მაგრამ მოპოვებული იქნა გამოცდილება, რამაც ხელი შეუწყო სალექსო სტრუქტურის განახლებას, ახალმა სიომ დაკქროლა.

ტ. ტაბიძე თავის „წერილებში ცდილობდა, დაესაბუთებინა „ცის-ფერყანწელთა“ ქსოვილების პრინციპები, აქსნა მისი წარმოშობის ისტორიული აუცილებლობა, ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც საქოთოდ დამახასიათებელი იყო სიმბოლიზმის-ათვის, გარკვეულად ირკვლებოდა ქართულ მწერლობაშიც და თეატრში. მართალია, ნატურალიზმი ქართულ თეატრში არ ჩამოყალიბებულა, როგორც მიმართულება, არ შეუქმნია პრინციპული მნიშვნელობის მხატვრული ნაწარმოებები, მაგრამ ნატურალისტური თეატრის განწყობილება და იმიტაციური მოვლენები უთუოდ იყო. იგი პირველ რიგში საძიებელია იმ ქართველ რეჟისორთა შემოქმედებაში, რომლებიც მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპებს იცავდნენ, ცდილობდნენ მის დამკიდრებას. ისინი ნიჭირი, განათლებული, თეატრისა და ლიტერატურის პროცესებში ღრმად გარკვეული რეფორმისტები იყნენ, რომლებიც ასევე გამოდიად ცდილობდნენ თეატრის განახლებას როგორც ამას ესწაფოდნენ სიმბოლისტები. ქართულ თეატრს ისტორიულად უმოქლეს პერიოდში მოუხდა სხვადასხვა მიმღინარებათა გაცნობა. ქართულ ეროვნულ სამხატვრო შემოქმედებას განახლების იმპულსს აძლევდა მსოფლიოს მოწინავე თეატრალური გამოცდილებანი. რუსთაველის თეატრში თითქმის ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით მიღიოდა სიმბოლისტური „ბერდო ზმანია“, რომანტიკული ნაკადით გამდიდრებული რეალისტური სპექტაკლი „ცხვრის წყარო“, ნატურალისტური დეტალებით გამორჩეული წარმოდგენა „ირინეს ბედნიერება“ და ექსპრესიონისტული „გაზი“. ერთი და იგივე მსახიობები მონაწილეობდნენ ამ წარმოდგენებში და ქმნიდნენ სტილურ მრავალფეროვნებას. მოდერნიზაციის ყველა სახეობას, მოუხდავად მათი მსოფლმხედველობის, ნიჭირების, გემოგების სხვადასხვაობისა, ერთი მიზანი ამოძრავებდათ, - არსებულის გარდაქმნა და განახლება. განსხვავებული პოეტურის თუ სასკენო ლექსიკის შექმნის სურვილი აიდულებდა მათ, ზოგჯერ დაშვებულიყვნენ უკიდურესობამდე, დიდი დრო დაეთმოთ ფორმალისტური ვარჯიშებისათვის. სულიერ მოძრაობათა ამ რთულ პროცესში მათ მინც შეძლეს განეახლებინათ გამომსახველი საშუალებები, სინამდვილედ ექციათ საკარაულო ჭეშმარიტებანი, საფუძველი ჩაეყარათ ახალი რეალიზმისათვის. ისი-

ნი ატარებდნენ განსაცვიფრებლად რისკიან ექსპერიმენტებს. რუსულ და მოდერნისტულ ევროპულ მიმღინარეობებს ნაზიარები მწერლები და რეჟისორები, მსახიობები და მთაცნებები გამორჩეული ნიჭიერების აღამიანები იყვნენ. მათში იმდენად ძლიერი იყო ეროვნული ფენომენი, რომ ბევრი სიახლე გაითავისეს, მარჯვედ იპოვეს თვითგანახლების საყრდენი. „ქართველი ერი, - წერდა ტ. ტაბიძე, - იმით არის გამარჯვებული, რომ ყოველთვის განახლების გზას ადგას... კარგი ტრადიცია თვითონ შეინახავს თავის თავს.“

„დურუჯელებს“ მხარი დაუჭირეს არა მარტო „ცისფერყანწელება“, არამედ ფუტურისტებმაც, „დურუჯის“ შექმნის ორი წლისთავისადმი მიძღვილ საიუბილე ურნალში („დურუჯი“) გარკვეული გამოხატულება პპოვა „ცისფერყანწელების“, „დურუჯელებისა“ და ფუტურისტების ერთიანობაში. ურნალში გამოქვეწდა ი. ტაბიძის, პ. იაშვილის, ბ. ულენტის, შ. აფხაზის, ი. გომართელის წერილები. ისინი გამოხატავდნენ მწერლობის პოზიციას. ტ. ტაბიძე წერდა: „მე მიხარია ჩვენი „ცისფერყანწელების“ პოეტების ორდენთან ერთად ჩვენი მოძმე ახალი თეატრის გამარჯვება“, პალო იაშვილი აღნიშნავდა; „ეს არის ახალი თეატრი, ნიჭირი და სავსე ტემპერამენტით. ჩვენ იმედს ისიც ემატებოდა, რომ თქვენს მეთაურად, როგორც ოქროს სინათლედ, დადგა თქვენთვის და ჩვენთვის ერთნაირად საყვარელი მასწავლებელი კოტე მარჯანიშვილი“, ბესარიონ უღენტი იცავს თეატრისა და პოეზიის ერთიანობის იდეას და წერს: „ჩვენ, ქართული პოეზიის მემარცხენე და უახლეს თაობას, არ შეგვიძლია არ გვიხარიდეს 29 იანვარი. ამ დღეს ჩვენ აღნიშნავთ უყოფმანო განცხადებით, რომ ჩვენი თანაგრძნობა უდავოდ ეკუთვნის „დურუჯს“. ჩვენ ყოველთვის ვიყავით თეატრალური განახლების და ტრანსფორმაციის მომხრები. „დურუჯის“ გმოსვლის პირველ ღამეს, ჩვენმა ფრონტმა გამოაქვენა საგანგებო მანიფესტი თეატრზე“, შალვა აფხაზის აზრით „დურუჯს წილად ხვდა ამოების სიცარიელე, რომელიც ძველ თეატრს - აწინდელ თეატრს აშორებდა“. უაღრესად კრიტიკულია ამ ე.წ. „შუალედური“ პერიოდის შეფასება. „ვიწრო პროვინციალიზმი, დაჭაობებული მეშჩანიზმი, შეუკაზმავი ვინიგრეტი - ხედა კორპორაციას მემკვიდრეობით“. იგნე გომართელმა პათეტიკური სიტყვებით მიუღოც „დურუჯს“. „სიგიუქს მამაცთა ვუგალობ დიდება!“ სათაურშივე იგრძნობა სიფიცე, კატეგორიულობა და ზეაწეულობა. იგნე გომართელი 1924 წელს, როცა „ქართული აკადემიური თეატრის“ განვლილ სეზონს აჯამებდა, წერილს ასე ამთავრებდა: „დურუჯი“

უსათუოდ გამარჯვებს, თუ მისი წევრები მიპაძევნ უფროსი ძმის - „ყანწელების“ მაგალითს და შეკრული ნებით, შეკრული ენერგიით, ერთმანეთის სრული პატივისცემითა და საქმის უზომო სიყვარულით მედვრად, გაბედულად და შეუპოვრად გაემართებიან წინ, ახალი საკურთხევლის მოსაპოვებლად“.

ჩვენს მიერ დამოწმებული დოკუმენტებიდან ირკვევა:

1. „ცისფერყანწელები“ მიჩნეულია „დურუჯის“ უფროს ძმად.
2. „დურუჯის“ გამოსვლის აქტიურად მხარს უჭირენ ლიტერატურის მოდერნისტული მიმდინარეობები.

3. „ცისფერყანწელები“ განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავნ კოტე მარჯანიშვილისადმი.

4. მწერლები „დურუჯელებისაგან“ მოითხოვენ, რომ ქართული თეატრი „გაიშალოს მსოფლიო რადიუსით“ (ტ. ტაბიძე).

„დურუჯი“ რომ ასარცხვებ გამოვიდა, „ცისფერყანწელების“ რვაწლის გამოცდილება ჰქონდათ დაგროვილი. ამ წლებში ნათლად გამოიკვეთა ამ მიმდინარეობის შეუჩირდილები. გამოვლინდა მისი მოდერნისტული ხასიათი. 1927 წელს ტიციანმა ვაჟა ფშაველაზე დაწერილ სტატიაში გარკვეულად ახსნა ის შეცდომები, რის გამოც ვაჟა ფშაველა სიმბოლისტ მწერლად იყო მიჩნეული. ამით იგი უპირისპირდებოდა თავისი ორდენის წევრთა შორის გავრცელებულ აზრს. „საზოგადოდ მისტიკიზმი დაძახასიათებელი თვისებაა სიძოლიშმის, მაგრამ ვაჟა ფშაველა სწორედ იმის დამამტკიცებელია, რომ მისტიკიზმი არ არის ქართული მწერლობის თანდაყოლილი თვისება“.

„ცისფერყანწელები“ ზეიმით შესვდნენ კოტე მარჯანიშვილის „ცხრის წყაროს“ დადგმას.

„ამ პიქსის დადგმა იყო ნამდვილი სასწაული ქართული თეატრისა. „ცისფერმა ყანწებია იმ დღესვე გამოაცხადეს ლოებიდან ამ დღის ისტორიულობა“...

კოტე მარჯანიშვილი სწორედ ის რეჟისორი იყო, რომელიც თავის საოცრად ფართო შემოქმედებით სამყაროში ითავსებდა მრავალგვარ სტილს. ის კარგად იცნობდა ათასგარ მოდერნისტულ მიმდინარეობას. ზოგჯერ თავად ყოფილა მოდერნისტული ძიების ავანგარდშიც. მანითესტის დასაცავად გამოქვეყნებულ წერილში მან ასე განსაზღვრა „დურუჯის“ მთავარი პრინციპები:

1. გამიჯვნა ძველი თეატრისაგან, როგორც ასეთისაგან, რომელიც ისტორიას ჩაბარდა.

2. უარყოფა ყოველგვარ შემთხვევით მოვლენათა, დაწყებული

გასტროლებიდან და კერძო წარმოდგენებით გათავებული და აგრეთვე მხატვრულის მხრივ საეჭვო მოგზაურობების.

3. მსახიობის სიმბოლო - „სარწმუნოების გამოქვეყნება“.

სანდრო ახმეტელი იცავდა ახალი ტიპის არტისტის იდეას. „ახალი თეატრის პირმშო შვილს ახალი ეპოქისას, ესაჭიროება ახალი ნებისყოფის კოლექტიური სულით გაელენთილი არტისტი“, რა არის კორპორაცია? - კითხულობდა ახმეტელი, რათა თავადვე გაეცა პასუხი: „თანასწორუფლებინი ყველა ერთის და ერთი ყველას დამხმარე ამხანაგური კუბული საერთო მიზნის განსამტკიცებლად. კორპორაცია - ნამდვილი კომუნაა, მისი მთავარი მიზანია როგორც თეატრის განმტკიცება და ეროვნული კულტურის გაღვივება, აგრეთვე არტისტის, როგორც პროფესიონალის, ისევე პიროვნების უმაღლესად გაულტუროსნება“. იმდრეად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ს. ახმეტელის პრზიცია, რომ თითქმის კამათისათვის ადგილი არც რჩება. მისი წევრები ნიჭიერი, შემდგომში ფართოდ აღიარებული მსახიობები იყვნენ. ცხოვრების რევოლუციური ცელილებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შექმნით კი არ დამთავრდა - დაიწყო. ეს იყო რთული, წინააღმდეგობრივი პროცესი. იყო შეცდომები, უკიდურესობები, პრიმიტიული და გულუბრყვილო ფრაზეოლოგიაც, სხვადასხვა იზმების წარმოშობის საფუძველიც, მაგრამ ყოველივე თანდათან იწმინდებოდა და ერთიანი დინების კალაპოტში დგებოდა. ამ ისტორიულ პროცესს გრძენობდნენ ცისფერყანწელებიცა და დურუჯელებიც, მაგრამ მათ ღრმად სწამდათ, რომ ისინი თავიანთი განსხვავებული შეხედულებების, თავიანთი ნაკლოვანებებისა თუ შეცდომების მიუხედავად, ქართული კულტურის განახლების ისტორიულ მისიას ასრულებდნენ. დღეს ვერც კი წარმოიდგინება XX საუკუნის მწერლობა და თეატრი ამ დიდებული თაობის გარეშე, რომლებიც „ცისფერი ყანწების“ და „დურუჯის“ ირგვლივ იყვნენ გაერთიანებული.

1927 წელს, როცა ორივე გაერთიანება დაშლილი იყო, ტიკიან ტაბიძე წერდა: „სიმბოლიზმი აქამდე რჩება ერთგვარ ლიტერატურულ განწყობილებად. უმთავრესი, რაც ახასიათებს ამ სკოლას, ეს არის ნატურალიზმის უარყოფა, ფორმალურ ლირებულებათა გადაფასება, რაც შეხება სიმბოლიზმები დამყარებას, ფრანგმა კრიტიკოსმა რემი დე ვურმონმა დამტკიცა, რომ სიმბოლიზმზე დამყარებული ანტიკური და საშუალო საუკუნეების მწერლობაც. ვაჟა ფშაველას სიმბოლისტად გამოცხადებას უმთავრესად ეს უწყობდა

ხელს, რადგან შეუძლებელია ვაჟას დეკადენტურ გადახრაზე ლაპარაკი. სიმბოლიზმზე და ზოგიერთ პოეტურ სახეთა ხმარებაზე დამყარება ძალიან საქვეო საბუთია“¹. სიმბოლოს სიმბოლიზმთან გაიგოვების მცდელობა ისეთივე შეცდომა იყო, როგორც ფორმის ძიება - ფორმალიზმთან. ასეთი ხსიათის შეცდომა კი მაშინ იყო. თეატრში ფორმის ძიება ხშირად ფორმალიზმად ინათლებოდა. ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ერთობ დიდხანს, აგრ თითქმის 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე.

„დურუჯისადმი“ „ცისფერყანწელების“ ხაზგასმული მხარდაჭერა შემთხვევით არ იყო. მათი ინტერესების იმ შემხვედრი წერტილების გარდა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, იყო სხვა არსებოთი მომენტიც. ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვა „ყანწელები“ თავიანთი აზროვნების სისტემით, ცხოვრების წესით, განცდის ბუნებით, პოზით - ერთი სიტყვით, ყველაფრით, - თავით ფეხამდე ქართული ეროვნული სულის პოეტები იყვნენ. ასევე ღრმად ეროვნული მოვლენა იყო ახმეტელი და „დურუჯი“ თავისი არსით.

სიმბოლისტურ „ბერდო ზმანიამდელი“ ახმეტელის მსოფლმხედველობა აღმოცენდა საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეების საფუძველზე. ხოლო შემდგომი ძიებანი მოიცავდნენ არა მხოლოდ წმინდა თეატრალური ფორმების სფეროს, არამედ რევოლუციურ გარდაქმნათა დიდ შინაარსს. იგი დიდია სწორედ იმიტომ, რომ შინაგანი ეროვნული სიღრმეებიდან წავიდა ზოგადისაკენ. მეოცე საუკუნის ათანი წლებიდნ, კიდევ უფრო მწვავედ დადგა ეროვნული საკითხი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შექმნის შემდეგ ქართველ ინტელიგენციაში ეროვნული საკითხის შესახებ იყო მერყეობაც, იჭვაც, ათასი კითხვა იბადებოდა: როგორ გადაწყდებოდა ეროვნული კულტურის ბედი? რა ელოდა დიდ ქართულ კლასიკურ ლიტერატურას? ქართულ წიგნს? ქართულ სკოლას? უურნალმა „ახალმა კავასიონმა“ (1925. N 1-2), თავის საპროგრამი წერილში აღნიშნა: „უკვე მეოთხე წელი შესრულდა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ჩვენ უნდა აღვინიშნოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული და კულტურული პოლიტიკის ხაზში არის მნიშვნელოვანი მიღწევები“.

ეროვნული კულტურის დიდ მიღწევებს კარგად ხედავდნენ ცისფერყანწელები და დურუჯელები, თავად იყვნენ ამ მიღწევათა წინა ხაზზე. ახმეტელის გამორჩეული შტურმები ქართველი ხალხის არტისტული ბუნების გამოსავლენად, მისი სიღრმისეული სვლები

ერის სანახაობითი კულტურის სათავეებთან, ცისფერყანწელთა აღტაცებას იწვევდა. მახვილგონივრულად შენიშნა მკვლევარმა მ. აბულაძემ, რომ ტიციან ტაბიძეს „მიეშველა რემი და გურმონის ნიღაბთა თეორია სიმბოლიზმისა. ნიღაბმა კი ავტორის აზროვნებაში თეატრალური ხელოვნების ისტორიული სურათები გამოიწვია ასოციაციით და ასეთმა ასოციაციურმა ჯაჭვება იგი ქართული სულის ისტორიულად თავისებურ ფენომენამდე მიიყვანა, ეს ფენომენი კი მიუთითებს, თუმე ჩვენში სიმბოლიზმის დასანერგავად საჭირო ნიადაგის არსებობაზე“. ტიციან ტაბიძე წერს: „ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს. იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრებისა. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია. ჩვენში მზადა ნიადაგი მოდერნიზმისათვის“². ეს ითვეა 1918 წელს. ხოლო დურუჯის შექმნის პერიოდში და კიდევ უფრო მეტად, კორპორაციის საიუბილეო წლისთავზე (1926) ტ. ტაბიძის შეხედულებები გარკვეულ ცვლილებას განიცდიან. უცვლელად კი რჩება აზრი ქართველი კაცის არტისტულ ბუნებაზე, როგორც მისი არსებობის ბუნებრივ ფორმაზე. ეს მომენტი ზუსტად ეხმაურება ახმეტელის ასეთსავე შეხედულებას ქართულ არტისტიზმზე. ტ. ტაბიძისა და ს. ახმეტელის შეხედულებანი აქ საქართველო ერთმანეთს, მაგრამ ასევე საგანგისათვის განსხვავდებიან იქ, როცა ტიციანი არტისტიზმს სიმბოლიზმს უკავშირებს. ნიღბები, როგორც სიმბოლო არტისტული სულისა, ერთია, ხოლო სიმბოლიზმი მეორე. აკი შემდგომ ტ. ტაბიძემ თავად უარყო სიმბოლიკისა და სიმბოლიზმის იდენტურობა, როცა ვაჟა ფშაველას პოეზიას იხილავდა. ცისფერყანწელებს იტაცებდა დურუჯელებითი ძმობისა და მეგობრობის იდეები. მათთვის ახლობელი იყო დურუჯის დევიზი: ერთი - ყველასათვის, ყველა - ერთისათვის. ძმადშეფიცულობა განსაკუთრებულ რომანტიკულ იერს აძლევდა კორპორაციას. ასევე ძმადშეფიცული იყვნენ ცისფერყანწელებიც. ცისფერყანწელებისა და დურუჯელების მშენდრო კავშირის მიუხედავად, მათ იდეოლოგიური თვალსაზრისით ერთობ განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ. მართალია, დურუჯელებიც ქართული თეატრის მოდერნიზაციას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ მათი მოღვაწეობის იდეოლოგიური საფუძველი ახალი ქართული თეატრის შენება, მისი მოღვაწეობის დაცვა და განვითარება იყო.

ცისფერყანწელებს სულ სხვა დროს მოუხდათ გამოსვლა. პუნქტოვია, სხვა იდეოლოგიურ საფუძველზე აღმოცენდა იგი. მაგრამ მათ შეხედულებებსა და შემოქმედებით პრაქტიკაში თანდათან მოხდა ეგოლუცია, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მათ პოეზიაში გაჩნდა ახალი ტრდფნციები, ახალი თემები, სახეები. პ. იაშვილი წერს ლექს „ლენინი“. 1921 წელსვე საბჭოთა საქართველოს მიესალმა ლექსით. ნიჭიერ ხელოვანთა შემოქმედებაში დროის თანახმიერი ცვლილებები ყოველთვის რთული, მტანჯველი, წინააღმდეგობრივი პროცესია. რაც უფრო სიღრმისეულია ეს გზა, მით უფრო რთულია შედეგიც. საერთოდ, ათასგვარი იზმები, რომელიც 20-იანი წლების ქართულ მწერლობასა და თეატრში წარმოქმნა, ზოგჯერ ასე ფასდებოდა: რაც რეალისტურია, ყველაფერი კარგია და „იდეოლოგიურად სწორი“, რაც არა - ცუდია და მავნე. შეფასების კრიტერიუმი საკმაოდ დიდხანს იყო გაბატონებული და მასში უთუოდ ირეკლებოდა რაპტერი სულისკვეთება. „იზმების“ პოლიტიკურ ბრალდებათა ხარისხში აყვანის ყოველი მცდელობა ისტორიის ფსკერზე დაიღუქა. დურუჯს მაშინ სხვა „იზმების“ ბეჭი ხვდა და არც ეს იყო შემთხვევითი. ბეჭის თანაზიარობის (თუნდაც გაუკუდმართებულ) ამ ფაქტებში აირეკლა ბევრი რამ ის საერთო, რაც ცისფერყანწელებსა და დურუჯელებსა ჰქონდათ.

ცისფერყანწელები დურუჯელებთან სულიერ კავშირს იმაშიც ექცევნენ, რომ მათ სწამდათ ბოპეტური არტისტიზმის. არტისტის ცხოვრება ისტორიულად ბოპემის რემინიცენციებს იწვევდა. თითქოს განუყოფელიაო არტისტი და ბოპემა, უფრო ფართოდ კი - საერთო შემოქმედი და ბოპემა. სწორედ ცისფერყანწელებმა უწოდეს რუსთაველის თეატრის კაფეს „ქიმერიონი“. კაფეში „ესპანური ქუდით და წამოსახამით, ყანწებით ხელში დახატულია პაოლო იაშვილი, თავს ახვევია მტრედები და სახე უბრწყნაას, როგორც ილია წინასწარმეტყველს. ფონი - ცისფერი მტრედები ცისფერ ყანწებში, აღნიშნავნ მის გულკეთილობას...“ და შეძეგ, განაგრძობს ტიციან ტაბიძე: „ალბათ, მთელ ქვეყნაზე არ არის კაფე, რომელიც იტევდეს ამდენ შთაგონებას და შემოქმედებას, როგორც „ქიმერიონი“.

„ქიმერიონში“ ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს მწერლები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, რეჟისორები...

თეატრში სიმბოლიზმი რეჟისურის სახელსაც დაუკავშირდა, სწორე

რეჟისორულ თეატრში პპოვა საყრდენი. ამ მომენტსაც მიაქციეს ყურადღება ცისფერყანწელებმა.

დურუჯიც დაიშალა, ისევე როგორც ცისფერი ყანწების გაერთიანება, „ქიმერიონმაც“ შეწყვიტა არსებობა. მისი კედლები, ოდესაც რომ გვანცვიფრებდა ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ს. სუდეიკინის, კირილ ზდანევიჩისა, პოლონელი ზიგმუნდ ვალიშევსკის ნახატებით, ერთფეროვანი საღებავით გადაიშალა. თითქოს ამით ყოველგვარ მოდერნისტულ გატაცებებს ბოლო მოელო. ამაშიც იყო რაღაც სიმბოლური...

ცისფერყანწელებისა და დურუჯის გაიგივება უხეში შეცდომა იქნება. მათ ჰქონდათ იდეურ-ესთეტიკური, ორგანიზაციული და სხვა ხასიათის განსხვავებანი, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს სპეციფიკური თავისებურებანი, რა მღვრიე დანალექებიც არ უნდა დაეტოვებინათ მათ ისტორიის ფსკერზე, თვით ეს გაერთიანებები პოეტური იყო თავისი არსით. გამოხატავდა ქართული არტისტიზმისა და პოეზის ერთიანობის იდეას. გაბედულად ამკვიდრებდა ახალს. „ცისფერი ყანწები“ და „დურუჯი“ თავისი ორიგინალობით ისე ამშენებდა ქართულ პოეზისა და თეატრს, როგორც ტიციან ტაბიძის მექრდს წითელი მიხაკი...

„ცისფერყანწელებს“ პირზე ეკრათ არტურ რეზბოს, მალარმეს ანდრე ბალის სახელები... მოდერნიზმი იჭრებოდა ლიტერატურაში, თეატრში, მხატვრობაში...

თეატრში და მის გარეთ იმდენი განსხვავებული შეხედულებები იყო, იმდენი სხვადასხვა ხასიათის და გემოგებების აღამიანი ტრიალებდა თეატრის ირგვლივ, რომ პირდაპირ შეუძლებელი იყო რთული ატმოსფეროს განმუხტვა. დროც ხელს უწყობდა. ახალი ცხოვრება ერთბაშად ხომ არ შექრილა ადამიანის ფსიქიკაში? ზოგი შეიძლება იძულებული იყო სიტყვით ელიარებინა ახალი ცხოვრების წესი, მაგრამ გულით ისევ ძველისაკენ იყო მიდრეკილი. ადვილი ხომ არ არის გამოეთხოვო შენი ბიოგრაფიის ნაწილს, შენი განვლილი სიჭაბუქის დღეებს, მასზე ფიქრი ხომ თავისთავადაც სევდის მოგვრელია. ადამიანის შეგნებაში ცვლილებებს დიდი დრო უნდა. მაშინ ყველაფერი ბეჭვის ხიდზე იყო შემდგარი. ზოგჯერ დროც არ იყო ჩაღრმავებისა და სერიოზული ფიქრისათვის, აქედან წარმოსდგებოდა ზერელობა და ათასი შეცდომა. ადამიანებს კი მეტად ძირიად უკადებოდათ ეს შეცდომები...

და აი, 1924 წელს რუსთაველის თეატრში საოცარი ამბები

ხდება. ბარიკადები არ არის, თორემ ნამდვილ ბრძოლებს არაფერი აკლია. კ. მარჯანიშვილის საქეტაკლების დიდმა წარმატებამ, ს. ახმეტელის საინტერესო დადგმებმა რიდიყალურად ვერ შეცვალეს რუსთაველის თეატრის მუშაობის სისტემა. მაინც ვერ იქნა მიღწეული ისეთი მონოლითურობა და დისკიპლინა, როგორსაც კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი ოცნებობდნენ. კ. მარჯანიშვილმა აწონ-დაწონა სიტუაცია, გაითვალისწინა ახმეტელის ორგანიზატორული ნიჭი, მტკიცე ხასიათი და ერთ დღეს იყი მთავარ რეჟისორად დანიშნა, თავად კი სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დარჩა.

მთავარი რეჟისორის თანამდებობა არსებითად ზრდიდა ახმეტელის უფლებებს. მას უკვე შეეძლო გადამწყვეტი ზომების მიღწება დისკიპლინის დამრღვევთა მიძართ. თუმცა მართლა საქმე მარტო დისკიპლინაში როდი იყო. გაუთავებელს ბენეფიციენტს ხომ ნაკლები ზიანი არ მოჰკონდათ თეატრისათვის. მოსაგვარებელი იყო რეპერტუარის საკითხი. თეატრის არ ჰქონდა გამოკვეთილი მხატვრული სახე. ერთი სიტყვით, საქმე თავზე საყარი იყო. თეატრში დისკიპლინა მარტო ადმინისტრაციული მხარე არ არის. ის უთუოდ უკავშირდება შემოქმედებითის. ამასთანავე, არც ქართული ხასიათის თავისებურება უნდა დავიკიტყოთ. ერთ ჭირქებულ თავმოყრილი სხვადასხვა ბუნების ადამიანთა თანამოაზრებად ქცევა და მკაცრი შემოქმედებითი დისკიპლინის გაერთიანება არა მარტო უპირველესი ამოცანა იყო, არამედ ურთულებიც. რაღაც დიდ, რწმენისულ ძალას უნდა გაეკრინოს ისინი. მათი ქართული სული, დაუმორჩილებლობა ეროვნულ შემოქმედებაში უნდა გამოვლენილიყო. ეს იქნებოდა ბრძოლის თავისებური ფორმა, რასაც ისტორიული ჰერსპექტივა ჰქონდა.

კოტე მარჯანიშვილი სხვაზე უკეთ ხედავდა იმ შეცდომებს, რომელიც თეატრში ხდებოდა. ამის შესახებ იყი წერდა: „ახალ გზაზე შედგომის პირველი ცდისთანავე საგულისხმო და საინტერესო მუშაობა დაარღვია მოულოდნელად შემოქრილმა ბენეფიციების სისტემამ, სადაც ფულით და როლებით გატაცებამ თან წარიტანა სეზონის პირველი მიღწევანი... ასეთი მდგომარეობა აღელვებდა დასის ერთ ნაწილს“. მერედა რატომ ხდება ასე? აქაც კოტეს პასუხი: „ამაში უცელაზე დამნაშავე ვიყავი მე. ვფიქრობი, ძველიდან ახალზე თანდათან გადასვლით უმტკიფნულოდ მომებდინა გარდაქმნა“. რა მისცა ამგვარმა პოზიციამ მას? „როგორც ყოველთვის, კომპრომისმა მოგვცა უარყოფითი შედეგი“. გრძნობდა

კოტე ამ გაორებას და მაინც კვლავ მისცა „შემთხვევითი წარმოდგენის გამართვის ნებართვა ერთ-ერთ მსახიობ ქალს. ახალგაზრდების ჯგუფი ეწვია მარჯანიშვილს და განუცხადეს, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ წარმოდგენაში, რადგან იგი ხალტურად მიაჩნდათ“. კოტე ამ ფაქტის გამო წერს: „კვლავ დაუუშვი კომპრომისი, რითაც მგონ რამდენადმე შევასუსტე კიდევაც ახალგაზრდების ჩემდამი ნდობა“. აი, ასეთ სიტუაციაში კოტე მარჯანიშვილი მთავარ რეჟისორად ნიშნავს სანდრო ახმეტელს. გამოდის, რომ მას სჭირდება ისეთი მთავარი რეჟისორი, რომელიც დაუპირისპირდება მოხალტურებს, დაუპირისპირდება თვით კოტესაც, თუკი იყი კომპრომისს დაუშვებს. უცნაური რამ ხდება. თითქოს საწყისშივე საფუძველი ეყრდნობა კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც შეიძლება ერთ დღეს წარმოიქმნას. რატომ გადადგა კ. მარჯანიშვილმა ასეთი ნაბიჯი? ჩანს, სხვა უკეთესი ვარიანტი არ არსებობს!...

ახალი თეატრალური და ლიტერატურული ტალღა ფორმების ძიებით ყველას ყურადღებას იქცევდა. „ქიმერიონი“ იყო რომანტიკული ადგილი, სადაც ცისფერყავანწელების პოეტური ვნება ცხრებოდა და სრულიად თავისებურ არტისტულ ატმოსფერის ქმნიდა. ძველი თბილისისა და ორთაჭალის ბალებიდან დუდუკის ხმები და ყარაჩოლელთა სევდიანი ხმები ქიმერიონშიც აღწევდა, მაგრამ ქიმერიონელ ქმაცებს პოლ ვალერის, ბოდლერისა და მალარმეს სახელები ეკერათ პირზე, ფირდოსის, ომარ ხაიმის, საადას და რუმის გენიალური პოზია თითქოს გაუცხოებულიყო მათვეის.

აღმოსავლეთი მარად სდევნიდა საქართველოს!..

აზიური მზე სწვავდათ, მაგრამ მუდამ ევროპისაკენ იმზირებოდნენ, იქიდან ელოდნენ თავისუფლების მზეს!..

„XVIII საუკუნის საქართველო იბრუნებს პირს აღმოსავეთიდან დასავლეთისაკენ. სულხან-სააბა ირბელიანი პირველი მოსურნე და მცდელი ევროპისაკენ ამ მიბრუნებისა. XVIII საუკუნის ქართველი ხალხი, თავისი არსებობის განმტკიცებისათვის უფრო მხნედ ეძიებდა კავშირს ეფრობის კულტურასთან და ცივილიზაციასთან. მხოლოდ ევროპასთან პირდაპირი კავშირი ვერ მოეწყო და ჩვენი ხალხი მათ მიუახლოვდა რესერის გზით. უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ქართველი ხალხი შეძლებისდაგვარად ეცნობოდა და ითვისებდა ევროპის კულტურას, თუმცა მეფის თვითმპრობელობა არსებითად ამის წინააღმდეგი იყო და განადგურებას უქადა საქართველოს, როგორც ერს“ (დ. კაკაბაძე).

რუსთაველის თეატრი ანუ „მუდმივი სცენა“ ნელ-ნელა ფორმირდებოდა ეგროპული ტიპის თეატრად. პროცესი იყო ურთულესი თავისი წინააღმდეგობრივი სასიათის გამო. გაორების სინდრომი სტანჯავდათ ქართული თეატრის მოღვაწეებს. ეს ხომ ისტორიულადაც ერის თანამდევი ტეივილი იყო.

„დიდი და ჭრული დასი იყო რუსთაველის თეატრში. ძველი თაობიდან: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ე. მესხი, ნ. გოცირიძე, ვ. გამყრელიძე და ალ. იმედაშვილი ცალკე იდგნენ. მათ შეუბრალავ აფტორიტეტს თეატრის ისტორია უმაგრებდა ზურგს. თეატრში ზოგს თავი „არისტოკრატად“ მიაჩნდა - სხვები „პლებებად“. ასეთები ცოტანი არ იყენენ. მართალია, თითქოს ყველანი პროვინციიდან იყენენ ჩამოსულნი, მაგრამ რატომძაც მაინც მოხდა ასეთი დაყოფა. ჭიათურით შეუჩნდა თეატრს ეს აზრი და მან გარკვეულად ხელი შეუშალა კოლეგტივის მთლიანობას.

ბენეფიციებმა ხომ პირდაპირ სული გაუწყალეს თეატრს.

მსახიობებმა სახელდახველო ბრიგადები შეაკორწიქს და რაიონებს მოედნენ.

მოუმზადებელი იყო რესპუბლიკის შიგნით ჩატარებული გასტროლებიც...

თითქოს ხელიდან ეცლებოდათ ის, რაც კოტე მარჯანიშვილმა მისცა.

კოტე მარჯანიშვილის მიერ ჩატარებული რევოლუციური გარდაქმნები წმინდა შემოქმედებითი ხასიათისა იყო. მას აკლდა იმავე ხარისხის ორგანიზაციული საფუძვლები...

ვიღაცას უნდა ეთავა მისი მოგვარება, მარჯანიშვილმა ამისათვის დანიშნა მთავარ რეჟისორად აქმეტელი....

ახალგაზრდობა ბობოქრობდა, თეატრის შიგნით უნდა მომდარიყო გადატრიალება.

თეატრის ბელადი კომპრომისებს უშვებდა. ახალგაზრდობას კი არ სურდა კომპრომისები. იგი ერთგული იყო მარჯანიშვილის სინთეტური თეატრის პრინციპებისა, მაგრამ მაშინ არავინ ფიქრობდა, რომ თვით ამ პრინციპების შემცნელის უფლებების შეზღუდვაც მოხდებოდა მისი დაცვის ლოზუნგით!

ეს იყო თეატრალური პროცესი, რომელიც ნიადაგს ამზადებდა თანამოაზრეთა ახალი თეატრის შესაქმნელად. თეატრში თეატრის

შექმნა ხომ მშობიარობის ტკივილივით მძიმეა, მაგრამ ბუნების კანონზომიერებაც ხომ ძველის წიაღში ახლას დაბადება?

პრესა და თეატრის სარეპერტუარო დღიურები სავსეა ცნობებით თეატრში სპექტაკლების მზადების შესახებ, მაგრამ ბევრი რამ იცვლება მუშაობის პროცესში, წყდება რეპეტიციები. 1923 წლის 14-21 მარტის ნომერში, ურნ. „სანახაობა“ (N 4) იუწყება: „ქართული დრამა, უახლოესი დადგმებიდან ნავარაუდევია კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით თერჯეტა „მასკოტა“, სახელმწიფო დრამის ძალებით „პამლეტი“ დავითაშვილის მონაწილეობით, გერმანელი ექსპრესიონისტის პიესა „ლედი უინდერმერის მარაო“, მ. ქორელის რეჟისორობით „მაკბეტი“ (მაკბეტი - ალ. იმედაშვილი, ლელი მაკბეტი, ნ. ჩხეიძე).

დიდმა მსახიობებმა ნ. ჩხეიძემ და ალ. იმედაშვილმა დიდი ოსტატობით შეასრულეს როლები, მათ თავიათი მაყურებლები ჰყავდათ, მაგრამ სპექტაკლმა მაინც ვერ გაიუღრა, რადგან მარჯანიშვილი და ახმეტელი უკვე გამოკვეთილად, ვიტყოდი ხაზგასმულადაც ამკვიდრებდნენ რეჟისორულ თეატრს, ხოლო „მაკბეტი“ უფრო ტრადიციული ხერხებით იყო გადაწყვეტილი. ეს ურთულესი პრობლემა იყო თეატრისა. რეჟისურის უნივერსალიზაციის გზა მსახიობთა ხელოვნების ზრდასა და დაოსტატებას გულისხმობდა. ასეც მოხდა, მაგრამ არა ერთბაშად. არსებითად, მსახიობთა ახალი თაობის ოსტატობის გარკვეული მოდელირება მხოლოდ „დურუჯის“ შემდევ ხდება, თუმცა იგი ასეთად ვერ გამოიკვეთობოდა 1920-24 წლებში მსახიობთა არაერთი წარმოდგენა რომ არ ყოფილიყო: თ. ჭავჭავაძის ლაურენსია, ა. ვასაძის მენგო ხომ ბრწყინვალე მაგალითი იყო მარჯანიშვილის უნივერსალური რეჟისურისა.

მათ გვერდით ბრწყინვალე ალ. იმედაშვილს ოტელო.

ვ. გუნია კლასიკური რეალიზმით ასრულებდა პეტრონიუსის როლს, მისი (სენეკიზის „ვიდრე ხვალ, უფალო“) სიდარბაისლე, სცენური „აკადემიზმი“, რომელიც დიდი სისადაგით ისახებოდა, ხიბლავდა მაყურებელს. ნერონის როლს ახალგაზრდა ა. ვასაძე ასრულებდა (გავლენ წლები და ა. ვასაძე საოცარი ოსტატობით შეასრულებს ნერონის როლს ქუთასის თეატრში!), საზოგადოებრივი აზრის მღელვარება და ინტერესი გამოიწვია ნ. ჩხეიძის მარგარიტა კოტეემ.

აქტიორული ხელოვნების მიღწევად იქნა მიჩნეული პრესის მიერ ფასო აბაშიძის ნუცას სახე (ვ. გუნიას „აღლუმი“), ნ. დავითაშვილის ანტიგონე, ნ. ჯავახიშვილის კაროუნა, თანდათან იკვეთებოდა გ. სარჩიმელიძის კოლორიტული ეპიზოდური სახეები.

ნამდვილ თეატრალურ მოვლენად იქცა აღ. სუმბათაშვილისა და ვ. აბაშიძის გამოსვლა სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“ - (აღ. სუმბათაშვილი - რუსი ჩინოვნიკი, ვ. აბაშიძე - მიკირტუმა). უ. ჩხეიძე წერს: „მათი გამოსვლა, რომელიც თითქმის ერთსა და იმავე დროს ხდებოდა პიესაში, ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მათ დიალოგს ისეთი მოწიწებით ვუსმენდით, რომ სცენაზე ყოფნაც კი დაგვარიშვდა“.

ჯ. სინგის „გმირის“ შესახებ მიაჩნდათ, რომ იგი გამოირჩეოდა მასობრივი სცენებით. განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მოლიქრის „გაზნაურებულ მდაბიის“. გრ. რობაქიძის აზრით, „ეს არ არის ნატურალიზმი, ეს არ არის რეალიზმი, ეს არ არის იმპრესიონიზმი, აქ უფრო კლასიკური ფორმაა. მოძრაობა აქ უფრო ცეკვაა მსუბუქი, თავი და თავი კი სპექტაკლის ფეირვერკული ბრწყინვალება, მისი მოქნილი ფორმები, საოცარი პლასტიკა, რიტმი, გადაწყვეტის სითამამე, ყველაფერი სავსე იყო არტისტიზმით. ამ სპექტაკლის მონაწილე ა. გასაძე წერდა: „მაინც, სად ჰქონდა ამდენი მარაგი სასცენო საშუალებების ბატონ კოტეს? ნამდვილად საოცარი“. (218).

სხვადასხვა თაობის მსახიობების ერთ ჭერქვეშ თავმოყრა, ისიც ამდენი ნიჭიერისა - მშვიდობიანი თანაარსებობის გზით ვერ განვითარდებოდა. ის ფაქტი, რომ ორი სრულიად თვითმყოფადი, გენიალური რეჟისორი მუშაობდა თეატრში, თეატრის სხვა პერსპექტივასაც გულისხმობდა, მაგრამ ახალი თეატრი ფორმირების მოცემულ ეტაპზე ისტორიულად ისევე აუცილებელი იყო მათი მუშაობა, როგორც შემდგომში გათიშვა.

თეატრში ყოველდღიურად, თანდათან მზადდებოდა შინაგანი გადატრიალება, შინაგანი აფეთქება.

ს. ახმეტელს და ბევრ სხვა „დურუჯელს“ ძვირად დაუჯდებათ მაშინდელი თეატრალური გადატრიალება. ბოლშევკების პარტია ჯერ გაჩუმდება, უფრო მეტიც, ერთხანს მხარსაც კი უჭერს მას, მაგრამ „დურუჯის“ სრულ დამოუკიდებლობას არ აპატიებს. „დურუჯის“ გვერდით ხომ ვერც პარტიული უჯრედი და ვერც

კომკავშირი ვერას გააწყობდა. მიჩქმალული იყო მათი როლი. არ ჩანდა „წარმმართველი ძალა“, როგორც შემდევ ამას აკეთებდნენ. ლ. ბერიას წერილში პირდაპირ არის შეფასებული „დურუჯის“ უარყოფითი როლი. მას ფაშისტურ ორგანიზაციას უწოდებს, თუმცა არაფერი ფაშისტური მასში არ იყო, მაგრამ ბოლშევკისათვის გასაგებია ამგვარი შეფასება. ახმეტელსა და დურუჯელებს ვინ აპატიებდა ისეთ დამოუკიდებლობას, როგორიც მათ ჰქონდათ. „დურუჯი“ ხომ არ სცნობდა ზემდგომ ორგანოებს, არ სცნობდა მათ დირექტივებს. ასეთი რამ დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა დიქტატორულ ქვეყანაში და თუ ერთხანს ამას ითმენდა პარტია, ეს ტაქტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული.

1920 წლიდან, კერძოდ, „ბერძო ზმანის“ დადგმიდან 1924 წლამდე, ანუ „დურუჯის“ შექმნამდე თეატრში გამოიკვეთა ახალი უნიჭიერესი თაობა. მარტი გგარების დასახელებაც კმარა, თუ რა დიდი ინდივიდუალობის მსახიობები გამოჩნდნენ თეატრში. ესენი იყვნენ: ვ. ანჯაფარიძე, უ. ჩხეიძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, თ. ჭავჭავაძე, გ. დავითაშვილი, თ. წულუკიძე, შ. ღამბაშიძე, ამ დროს დასში არიან: გ. სარჩიმელიძე, დ. მუავია, პ. კორიშელი, ვ. ჯიქია, ა. ქიქოძე, ხ. გვარაძე, ბ. გამრეკელი, ხ. ამირეჯიბი, ტ. აბაშიძე, პ. კანდელაკი და სხვები, რომელებიც სხვადასხვა ასკისანი იყვნენ, მაგრამ მაინც იგრძნობოდა თაობათა ფორმირების პროცესი. მათ შორის ზოგს ნეიტრალური პოზიცია ჰქირა, ზოგს აქტიური. მთავარი იყო თვით სცენაზე მიმღენარე ცვლილებები, მეტიოდ იკვეთებოდა ახალი პირობითი სათეატრო ესთეტიკის საფუძვლები.

1924 წლის 29 იანვარს კორპორაცია „დურუჯმა“ რუსთაველის თეატრის სცენიდან საჯაროდ გამოაცხადა თავისი მნიშვნელობა. ამიერიდან თეატრი სულ სხვა სარისხსა და მასშტაბებში, სხვა განზომილებებში იწყებს ცხოვრებას.

იწყება ქართული თეატრის ახალი ეპოქა.